საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. ● № 9 (282) ● სამშაბათი, 21 იანვარი, 1992 წელი. ● ფასი 20 კაპიკი

საქართველოს დროებითი მთავრობის მეთაურის პრესკონფერენცია

— **პოლიტიკური** სიტუაცია საქართველოში თანდათანობით ნორმალურ კალაპოტში დგება, — თქვა ქართველი და საზღვარგარეთელი ჟურნალისტებისათვის 18 იანვარს მინისტრთა კაბინეტში გამართულ მორიგ პრესკონფერენციაზე რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა თენგიზ სიგუამ. თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონში, აღნიშნა მან, საერთო ვითარება მშვიდია. მას მთლიანად კონტროლს უწევენ დროებითი მთავრობა და სამხედრო საბჭო ქალაქ ქუთაისშიც. კვლავ დაძაბულია სიტუაცია დასავლეთ საქართველოს მხოლოდ ოთხ-ხუთ რაიონში, სადაც ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეები აქტიურობენ. ყველაზე ცხელი წერტილებია ქალაქი ზუგდიდი და მისი რაიონი. აქ, აგრეთვე სენაკში, სამტრედიასა და ფოთში იმართება მიტინგები ექსპრეზიდენტის მხარდასაჭერად. ფოთში გამსახურდიას მომხრეებმა მოიტაცეს კამაზი, რომელიც სამი ტონა შაქრით იყო დატვირთული, ხელთ იგდეს ტურბაზა და იქ თავიანთი შეიარაღებული რაზმები განალაგეს. ამ ბოლო დღეებში გახშირდა თავდასხმები სამხედრო ობიექტებზე იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის ხელში ჩაგდების მიზნით. ასეთი ფაქტები მოხდა ფოთში, ზუგდიდსა და ოჩამჩირეში.

შეეხო რა დაპირისპირებულ მხარეთა ძალების თანაფარდობას, დროებითი მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ახალი ხელისუფლების შეიარაღებული ფორმირებანი ლამის ათჯერ აღემატებიან იმათ, რომლებიც ახლა ყოფილი პრეზიდენტის მხარეზეა. ამიტომაც, ხაზი გაუსვა მან, გამსახურდიას ყველა მოწოდება სამოქალაქო ომის გაჩაღებისათვის მიგვაჩნია პოლიტიკურ ავანტიურად. თენგიზ სიგუამ თქვა, რომ როცა 6 იანვარს დილაადრიან გამსახურდიას მისცეს შესაძლებლობა დაეტოვებინა ბუნკერი და წასულიყო საქართველოდან, ეს განხორციელდა ერთადერთი მიზნით — შეწყვეტილიყო სისხლისღვრა. ამითვე ახსნა საქართველოს დატოვების შესახებ თავისი გადაწყვეტილება ყოფილმა პრეზიდენტმაც, რომელმაც ცალსახად ილაპარაკა ამის თაობაზე თავის პირველსავე ინტერვიუში, რომელიც სომხეთში ჩასვლის შემდეგ მისცა. მაგრამ, საქართველოში დაბრუნების შემდეგ მან სამოქალაქო ომისათვის მოუწოდა, რითაც პირწმინდად გააბათილა თავისივე განცხადება. ახლა დროებითი მთავრობა და სამხედრო საბჭო იძულებული არიან განახორციელონ ღონისძიებანი, რათა თავიდან აიცილონ შეიარაღებულ შეტაკებათა საფრთხე. ამასთან ახალი ხელისუფლნი არ აპირებენ გამოიყენონ თავიანთი უპირატესობა სამხედრო ძალაში. ჩვენი მიზანია, ხაზი გაუსვა თენგიზ სიგუამ, ალყაში მოვაქციოთ გამსახურდია და მისი თანამოსაგრენი, რათა არ დავუშვათ ძმათამკვლელი ომის გაჩაღება.

ამ მიზნით გადაწყდა, უწინარეს ყოვლისა ცხოვრების ნორმალური პირობები შევუქმნათ ქალაქ სამტრედიას, სადაც ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებმა გადაკეტეს მნიშვნელოვანი სარკინიგზო კვანძი. სხვათა შორის, როგორც უკვე პრესკონფერენციის დასასრულისათვის ითქვა, დროებითი მთავრობის ძალები უსროლელად შევიდნენ სამტრედიაში და დაიკავეს რკინიგზის კვანძი. რიგშია წესრიგის აღდგენა ქალაქ ფოთში, სადაც ადგილობრივი პრეფექტისა და მისი აპარატის ცდებით მოიშალა საზღვაო ნავსადგურის მუშაობა. კერძოდ, ახლა იქ დგას 70 ათასი ტონა მარცვლეულით დატვირთული გემები, რომელთა გადმოტვირთვა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. დღემდე გამსახურდიას მომხრეთა ხელშია სოხუმის აეროპორტიც. რაც შეეხება ექსპრეზიდენტის ადგილსამყოფელს, უკანასკნელი მონაცემებით იგი გალის რაიონში უნდა იყოს, და არც ერთი ქვეყანა არ გამოხმაურებია მის თხოვნას დროებითი პოლიტიკური თავშესაფრის მიცემის შესახებ.

ბატონმა თენგიზ სიგუამ ჟურნალისტებს გააცნო, თუ რა სერიოზული სიძნელეებია საქართველოს ეკონომიკაში. მას შემდეგ, რაც გადმოიტვირთება ფოთის ნავსადგურში მოსული მარცვლეული, თქვა მან, შევძლებთ ამით უზრუნველვყოთ რესპუბლიკა 20 თებერვლამდე. არა გვაქვს კარაქისა და შაქრის მარაგი. მაგრამ დროებითი მთავრობა ურთიერთობას ამყარებს როგორც ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებთან, ისე საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებთანაც, რათა საქართველოში შემოიტანონ ეს საარსებო მნიშვნელობის სასურსათო პროდუქტები, აგრეთვე ნედლეული და სათბობ-ენერგეტიკული რესურსები. როგორც პრესკონფერენციის მონაწილემ, საქართველოს პრემიერ-მინისტრის პირველმა მოადგილემ ოთარ ქვილითაიამ შენიშნა, ამჟამად, იმის გამო, რომ არ არის ნედლეული და რესურსები, რესპუბლიკის საწარმოები თავიანთი შესაძლებლობების მხოლოდ 25-30 პროცენტით მუშაობენ. აქ სიტუაციის მოწესრიგებას რამდენადმე შეუწყობს ხელს არსებული მორიგება თურქმენეთთან და რუსეთთან ბუნებრივი გაზის მოწოდების გაზრდის შესახებ.

დროებითი მთავრობის მიერ უკანასკნელ დღეებში მიღებულ განსაკუთრებით მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა შორის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა დაასახელა მინისტრთა კაბინეტის დადგენილება იმის თაობაზე, რომ ამა წლის 1 თებერვლიდან იწყება სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის ფართო პროგრამის განხორციელება, ამასთან აღნიშნა, რომ უწინარეს ყოვლისა პრივატიზებული იქნება ვაჭრობის, მომსახურების სფეროს ობიექტები და მსუბუქი მრეწველობის საწარმოები. ითქვა აგრეთვე, რომ დამთავრდა მუშაობა მიწის კანონის პროექტზე, რომ უკვე მარტში ნავარაუდევია განხორციელდეს გლეხებისთვის მიწების გადაცემის პირველი ეტაპი. შეეხო რა უკვე ფაქტობრივად დაწყებულ ფასების ლიბერალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, დროებითი მთავრობის მეთაურმა თქვა: ეს პროცესი, სამწუხაროდ, გარდაუვალია და მისი შეჩერება შეუძლებელია. მაგრამ ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ფიქსირებული დარჩეს საბავშვო ასორტიმენტის თუნდაც ზოგიერთი საქონელი და პირველი საჭიროების საგნები, რათა ბაზრის პირობებში ცხოვრება შეუმსუბუქდეს მოსახლეობის ხელმოკლე ფენებს.

როგორც ბატონმა თენგიზ სიგუამ განაცხადა, 12 იანვრიდან შესამჩნევად გააქტიურდა ჩვენი რესპუბლიკის დიპლომატიური ურთიერთობა საზღვარგარეთის ქვეყნებთან. საქართველოს სუვერენიტეტი აღიარეს კანადამ, ინდოეთმა, ეთიოპიამ, ბოლივიამ. ყველაფერი კეთდება, ხაზი გაუსვა მან, რათა ეს პროცესი წარმატებით გრძელდებოდეს.

დროებითი მთავრობის მეთაურმა და მისმა პირველმა მოადგილემ უპასუხეს ჟურნალისტთა კითხვებს.

საქინფორმი.

ქართული მწერლობის მიმართვა ერისადმი

საქართველო თავზარდაცემულია.

მის ზნეობრივ სახეს, ტერიტორიულ მთლიანობას და თვით სიცოცხლეს მომაკვდინებელი საფრთხე შეექმნა.

კუთხურობა, სამარცხვინო პარტიკულარიზმი თვით უდიდეს იმპერიებს აღგვის პირისაგან მიწისა, და რა ხეირს დააყრის იგი ჩვენს ერთ ციდა ქვეყანას?

საბედისწერო სენს შეუპყრია ჩვენი ეროვნული სხეული, ისტორიის ჩარხი უკუღმა დაბრუნებულა და გასრესას გვიქადის.

მერედა, როდის ხდება ეს?

სწორედ მაშინ, როდესაც გათავისუფლება გვეღირსა, როცა პირველად გვეძლევა საშუალება საერთაშორისო ასპარეზზე გამოვიდეთ, როცა გზა ეხსნება ერის სულიერ პოტენციას!

მეორდება ის, რაც ავად მოსაგონარ 1918-1921 წლებში მოხდა.

შინაგან კინკლაობას აყოლილი პარტიები ვერა და ვერ შეთანხმებულან, ვინ წინ იდგეს და ვინ უკან, სამშობლო კი, დედასამშობლო, ვის საკეთილდღეოდაც ყველა ვარსებობთ, ხელიდან გვეცლება!

სადა ხარ შენ, ბრძენო, სამართლიანო, მრავალჭირგამოვლილო, ღვთისმოსავო ქართველო ხალხო?

ვის პარტიულ დოგმებს აჰყოლიხარ?

ვის დუდუკზე ცეკვავ?

ნუთუ მოვლენების შეფასების საკუთარი უნარი დაკარგე და ვერ ამჩნევ, რომ მტრის გასახარელ საქმეს აკეთებ, ჭერი თავზე გემხობა, რუდუნებით აგებულ დიდ ქართულ საძმო სახლს დაქცევა ემუქრება?

ნუთუ შენა ხარ ის ხალხი, დიდ დავით აღმაშენებელს მხარში რომ უდექი დიდგორის ომში და ქართველის გასაგისის მოსასპობად მოსული ათგზის მრავალრიცხოვანი მტერი შეერთებული ძალით დაამარცხე?

ნუთუ შენა ხარ ის ხალხი, რომლის სახელითაც დიდი თამარი შემოსეულ რუქნადინს სწერდა ბასიანის ბრძოლის წინ:

„...წარმომივლენია მხედრობა ქრისტეს მოსახელე არა შენს თაყუანისცემად, არამედ დამხობად შენდა ზუავისა მაგის და ამპარტავანისა გულისა შენისა, რათა განისწავლო ღმრთისა მიერ არღარა გმობად სახელსა მისსა. იყავნ ნება ღვთისა და ნუ შენი! სამართალი მისი და ნუ შენი!.."

გონს მოვეგოთ, ხალხო, გავიხსენოთ, ვისი გორისა ვართ, ვის ფესვზე ამოვსულვართ, რისთვის გაგვიძლია, და ჩვენივე უგუნური ხელით ნუ მოვიკვეთთ მომავლის ყლორტს, ნუ შევუდგებით სატანას, ნუ ვახარხარებთ სეირის საცქერლად გამოფენილ მტერსა და დუშმანს, ნუ მივცემთ დავიწყებას სულმნათი აკაკის ღვთაებრივ ღაღადისს:

ერთობა ჩვენთვის ტახტია,
მტრებისთვის — სახრჩობელაო.

არ არსებობს ორი საქართველო, ისევე როგორც არ არსებობს ორი ჭეშმარიტება, ორი სიმართლე.

ის ერთია და სამარადისოდ ერთად დარჩება!

მაშ, კვლავ გადავუხსნათ გული ერთმანეთს სიყვარულისთვის, განვდევნოთ პაწაწინა კაცუნების მიერ ჩვენს შორის ჩამოგდებული სიძულვილი და უნდობლობა.

მივიხედ-მოვიხედოთ!

ამ დღეს, საქართველოს განთავისუფლებას, კუთხურობამ რომ დაასუსტა და ვეშაპის პირში ჩააგდო, ორას წელიწადს ველოდით.

ვიყოთ ღირსი ჩვენი ნატვრისა და ნატვრის ასრულებისა!

წყეულიმც იყოს უკუნითი უკუნისამდე ყველა ის, ვინც მიმნდობ თანამემამულეთა მალემრწმენობით ისარგებლოს და ძმა ძმაზე წააქეზოს.

წყეულიმც იყოს ყველა, ვინც ამით უკვე ისარგებლა და ძმის სისხლი ზღვად დაღვარა!

ვიკმაროთ!

არც ერთი პარტია და მისი არც ერთი დოგმა, არც ერთი პიროვნება არა ღირს იმად, რომ მას ძლივს ერთ მუშტად შეკრული სამშობლოს მთლიანობა შევწიროთ!

ავწიოთ მხოლოდ ერთი დროშა — დროშა სამშობლოს ერთიანობისა, რწმენისა, მოყვასის სიყვარულისა, წვრილმან ამბიციათა უკუგდებისა!

ყველა სხვა დროშა უფსკრულისკენ მიგვიძღვის, და ღმერთმა აშოროს ეს უფსკრული საქართველოს, უთვალავ ჭირსა და ვაებაში გამოვლილ ჩვენს სანუკვარ სამშობლოს!

თბილისი, 1992 წლის 18 იანვარი.

შეხვედრა ახალგაზრდებთან

19 იანვარს, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში გაიმართა სტუდენტი ახალგაზრდობის დროებითი კავშირის სათათბიროს წევრთა შეხვედრა პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან თენგიზ სიგუასთან.

შეხვედრის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს სტუდენტი ახალგაზრდობის დროებითი კავშირის სათათბიროს წევრის სანდრო შაიშმელაშვილის ხსოვნას, რომელიც 5 იანვარს დაიღუპა უზენაესი საბჭოს შენობაში.

პრემიერ-მინისტრმა მოკლედ მიმოიხილა საქართველოში დღეს არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება, შეეხო ახლო მომავალში მოსალოდნელ პოლიტიკურ-ეკონომიკურ რეფორმებს.

სტუდენტებმა ყურადღება განსაკუთრებით გაამახვილეს უმაღლესი სასწავლებლების ავტონომიზაციისა და სამეცნიერო საბჭოების მიერ რექტორთა არჩევის შესახებ დროებითი მთავრობის დადგენილებაზე. გამოითქვა მოსაზრება, რომ უმჯობესი იქნება უმაღლესმა სასწავლებლებმა თავად განსაზღვრონ რექტორის არჩევის ფორმა და წესი. სტუდენტების აზრით ეს უფრო შეესაბამება დემოკრატიის პრინციპებს.

ახალგაზრდებმა ისაუბრეს უცხოეთში სტუდენტთა გაცვლითი სწავლებისა და ახალგაზრდა სპეციალისტების საზღვარგარეთ მომზადების საკითხზე. საჭიროდ მიიჩნიეს ამ პრაქტიკის გაფართოება, სწავლის ხანგრძლივობის გაზრდა და საგანგებო სახელმწიფო ფინანსური ფონდის შექმნა. ბატონმა თენგიზ სიგუამ სავსებით რეალურად მიიჩნია ასეთი ფონდის შექმნა და თავის მხრივ სტუდენტი ახალგაზრდობის დროებითი კავშირის სათათბიროს შესთავაზა გერმანიასა და საფრანგეთში სხვადასხვა სპეციალობის შესასწავლად გასაგზავნი კანდიდატების შერჩევა.

სტუდენტებმა გააკრიტიკეს საქართველოს ტელევიზია და სხვა საინფორმაციო წყაროები ინფორმაციული სიმწირისა და არაოპერატიულობისათვის.

ომარ ჩიტაია
საქინფორმის კორესპონდენტი

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

დროებითი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს შექმნის შესახებ

საქართველოში შექმნილი მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა, გაუწონასწორებელი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ხალხის ყოველდღიური საარსებო ინტერესები მოითხოვს სახელმწიფო მართვის მაღალ პროფესიულ და ინტელექტუალურ დონეზე აყვანას, მმართველობის დემოკრატიულ საწყისებზე გადასვლას, კვალიფიციურ ოპერატიულ გადაწყვეტილებათა მიღებას.

დღევანდელ პირობებში სახელმწიფოს მართვა შესაძლებელია მხოლოდ განსხვავებული პოლიტიკური მრწამსის მქონე, სოციალურად აქტიური, კომპეტენტური ადამიანების მოსაზრებათა გაზიარებით.

ამ პრინციპების განხორციელების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან დროებითი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭო და დროებითი მთავრობის მიერ მისაღები გადაწყვეტილებები მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ საკითხებზე განხილულ იქნეს პოლიტიკურ საკონსულტაციო საბჭოსთან ერთად.

2 დროებითი პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში მოწვეულ იქნენ ბატონები ვაჟა ადამია, ლევან ალექსიძე, მერაბ ალექსიძე, აკაკი ასათიანი, ირაკლი ბათიაშვილი, აკაკი ბაქრაძე, დავით ბერძენიშვილი, კონსტანტინე გაბაშვილი, თამაზ გამყრელიძე, გურამ გეგეშიძე, არჩილ გოგელია, რომან გოცირიძე, გურამ თევზაძე, ჯაბა იოსელიანი, ალექსანდრე კავსაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, თენგიზ კიტოვანი, დავით კუპრეიშვილი, ნოდარ ლომოური, გიორგი მაისურაძე, ნოდარ ნათაძე, მიხეილ ნანეიშვილი, თედო ნინიძე, თედო პაატაშვილი, ზურაბ ჟვანია, თეიმურაზ ჟორჟოლიანი, თეიმურაზ ფიფია, რევაზ შავიშვილი, თეიმურაზ შაშიაშვილი, გიორგი შენგელაია, ელდარ შენგელაია, ირაკლი შენგელაია, ქალბატონი თამარ ჩხეიძე, ბატონები ირაკლი წერეთელი, გიორგი ჭანტურია, გიორგი ხაინდრავა, ივლიანე ხაინდრავა და თამაზ ჯანელიძე.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი
თ. სიგუა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი
გ. ბერიძე.

რესპუბლიკის პროკურატურის ცნობა

როგორც საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა საგამოძიებო განყოფილების უფროსმა ირაკლი კობიაშვილმა საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა, დაპატიმრებული არიან საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ყოფილი მოადგილე, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა ყოფილი მინისტრი გურამ ვალიკოს ძე აბსანძე და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საფინანსო-საბიუჯეტო მუდმივი კომისიის ყოფილი თავმჯდომარე ტარიელ ამირანის ძე გელანტია. ისინი დაპატიმრებული არიან საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 186 მუხლის მეორე ნაწილისა და 96 პრიმა მუხლის საფუძველზე, თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და სახელმწიფო ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების ფაქტებთან დაკავშირებით.

მიმდინარეობს გამოძიება. კონკრეტულად, თუ თითოეულ მათგანს რაში ედება ბრალი, გამოძიების შემდგომი ეტაპი დაადგენს, რაც ფართო საზოგადოებრიობას ეცნობება.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს

განცხადება

დღევანდელი სიტუაცია საქართველოში განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს თითოეულ ჩვენგანს. მართლწესრიგისა და კანონიერების ნებისმიერი დარღვევა კიდევ უფრო ძაბავს ვითარებას, იწვევს ექსცესებისა და არეულობების პროვოცირებას, აფერხებს ცხოვრების მშვიდობიან კალაპოტში ჩადგომას, რასაც ასე ესწრაფვის რესპუბლიკის მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა.

განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ციხეებიდან, წინასწარი გამოძიების იზოლატორებიდან პატიმრების გაქცევის თითოეული ფაქტი. მაგალითად, 19 იანვარს გეგუთის ციხე თვითნებურად დატოვა 40-მდე პატიმარმა. სამწუხაროა, რომ მათ ამგვარი ქმედება ჩაიდინეს მაშინ, როცა მალე ნავარაუდევია ფართო მასშტაბის ამნისტია. იგი გავრცელდება პატიმართა უმეტეს ნაწილზე. ამნისტია არ შეეხება პატიმართა გარკვეულ კატეგორიას, მათ შორის ციხიდან გაქცეულებს, რომლებიც ნებაყოფლობით არ დაუბრუნდებიან სასჯელის მოსახდელ ადგილებს.

იმედია, გაქცეული პატიმრები გაგებით მოეკიდებიან ამ განცხადებას, მაქსიმალურად გაითვალისწინებენ, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს მათს ქმედებას, ანგარიშს გაუწევენ რესპუბლიკაში შექმნილ უმძიმეს მდგომარეობას, როცა თითოეული ადამიანის პირად პასუხისმგებლობაზე, შეგნებაზე ძალზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, გადადგამენ თავიანთთვის და საზოგადოებისათვის ერთადერთ სწორ ნაბიჯს — დაუბრუნდებიან სასჯელის მოსახდელ ადგილებს.

საქინფორმი.

საქართველოს დროებითი მთავრობისა და სამხედრო საბჭოს

განცხადება

ამ დღეებში ბევრი გვირეკავს და გვეკითხება, რამდენად შეეფერება სიმართლეს მითქმა-მოთქმა იმის შესახებ, რომ თითქოს ყოფილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას მომხრეთა და თანამებრძოლთა მიმართ დაიწყება რეპრესიები. როგორც საქართველოს რესპუბლიკის დროებითმა მთავრობამ და სამხედრო საბჭომ არაერთხელ განაცხადეს, არავითარი რეპრესიები, დევნა-შევიწროება ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერთა მიმართ არ იქნება. მოარული ხმები ამის შესახებ მხოლოდ და მხოლოდ ჭორია, რომელსაც მავანნი შეგნებულად თუ შეუგნებლად ავრცელებენ.

დაბეჯითებით გთხოვთ, ნუ აყვებით ყოველგვარ საფუძველს მოკლებულ ჭორებსა და მითქმა-მოთქმას.

ვიმეორებთ! ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერთა დევნასა და შევიწროვებას არავინ აპირებს. დაისჯებიან მხოლოდ ისინი, ვისაც სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი.

საქინფორმი.

მინისტრთა კაბინეტში

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კადრების ინტელექტუალური პოტენციალის, სასწავლო პროცესის დემოკრატიული მართვის, უმაღლესი სასწავლებლების თავისუფალი და ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დაადგინა, რომ საქართველოს რესპუბლიკის ყველა ტიპის სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებს მიენიჭოთ თვითმმართველი (ავტონომიური) დაწესებულების სტატუსი, იმ ვარაუდით, რომ თავიანთი საქმიანობა განახორციელონ საკუთარი წესდების შესაბამისად.

მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, ავტონომიამინიჭებულ უმაღლეს სასწავლებლებს საკუთრებად გადაეცათ მათ სარგებლობაში არსებული ძირითადი ფონდები და სხვა სახელმწიფო ქონება. უმაღლესი სასწავლებლების სამეცნიერო საბჭოებს მიეცათ რჩევა უმოკლეს ვადაში შეიმუშაონ და დაამტკიცონ დებულება რექტორის თანამდებობის დაკავების შესახებ, რომლის საფუძველზეც აირჩევენ უმაღლესი სასწავლებლის რექტორს.

საქართველოს რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს დაევალათ ჩამოაყალიბონ და წარმოადგინონ საქართველოს უმაღლესი განათლების განვითარების სახელმწიფო პროგრამის შემუშავებისათვის უმაღლეს სასწავლებელთა აკრედიტაციის წესი და დაფინანსების მოცულობანი.

საქინფორმი.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს

განცხადება

რესპუბლიკაში მიმდინარე მოვლენების ფონზე, პირობებში, როცა ქართველმა ხალხმა მოახდინა საბოლოო არჩევანი ჭეშმარიტი დემოკრატიისა და თავისუფლების სასარგებლოდ, გაკვირვებას იწვევს შიდა ქართლიდან (ყოფილი ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთი) მოსული ცნობები გარკვეულ წრეთა იმ განზრახვის შესახებ, რომ ხელყონ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო კატეგორიულად უარყოფს ცდებს პოლიტიკური კონფლიქტები გადაწყდეს ძალისმიერი მეთოდებით და მიაჩნია, რომ ახალ პირობებში არის რეალური შესაძლებლობა შეჩერდეს ორი მოძმე ხალხის სისხლისღვრა და კონფრონტაცია შიდა ქართლში, არსებული პრობლემები გადაიჭრას მშვიდობიანი მოლაპარაკების მეშვეობით.

მაგრამ არავინ არ უნდა გახადოს საეჭვო ფაქტი, რომ საქართველოს რესპუბლიკა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სუვერენული სახელმწიფო, დაიცავს თავის ტერიტორიულ მთლიანობას და საზღვრების ურღვევობას ყოველი საშუალებით, მათ შორის სამხედრო საშუალებებითაც.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო მტკიცე პროტესტს აცხადებს შიდა ქართლის სეპარატისტულად განწყობილი ძალების იმ განზრახვასთან დაკავშირებით, რომ მოსწყვიტონ მას ერთ-ერთი უძველესი ისტორიული ნაწილი.

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ კონფლიქტების გადაწყვეტის გზების ძიებაში კვლავაც იხელმძღვანელებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებით, რომელთა განუხრელი დაცვა არის თანამედროვე საერთაშორისო მართლწესრიგის საფუძველი.

საქინფორმი

დროებითი მთავრობის პრესცენტრის განცხადება

დღეს საქართველო ისტორიულ გზაჯვარედინზე იმყოფება. ბოლო ორასი წლის მანძილზე მან ჯერ რუსეთის იმპერიის, შემდეგ კომუნისტური რეჟიმის, ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბრის შემდეგ პოსტბოლშევიკური ავტორიტარული ხელისუფლების უმკაცრესი სუსხი განიცადა. საქართველო გამოეთიშა თავისი კანონზომიერი ისტორიული განვითარების პროცესს. ახლა იწყება ახალი ეტაპი, რომელიც დაკავშირებულია ხელისუფლების სათავეში დროებითი სტრუქტურების — სამხედრო საბჭოსა და მინისტრთა კაბინეტის — მოსვლასთან. ესაა გუშინდელი ოპოზიცია, რომელსაც ეძლევა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის ისტორიული შანსი. შეძლებს თუ არა იგი ამ შესაძლებლობის რეალიზაციას? ამ კითხვას პასუხს გასცემს უახლოესი და უფრო შორეული მომავალი. ჯერჯერობით კი პერმანენტული წინააღმდეგობები, შინააშლილობა, ყოფილი პრეზიდენტისა და მისი მომხრეების დაპირისპირება დღევანდელ ხელისუფლებასთან მთავრობას არ აძლევს თავისი პროგრამის ხორცშესხმის საშუალებას. ძნელია მომავლის პროგნოზირება, მაგრამ ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ ახალ ხელისუფლებას სურს არ გაიმეოროს წინა რეჟიმის შეცდომები და ქვეყანა დემოკრატიული რეფორმების გზით წაიყვანოს.

იმისათვის, რათა უკეთ გავერკვეთ საქართველოში ამჟამად შექმნილ ვითარებასა და შინაგან წინააღმდეგობებში, მოკლე ექსკურსი გავაკეთოთ უახლოეს წარსულში.

1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ, დემოკრატიულ არჩევნებში საქართველოს მოსახლეობამ მხარი დაუჭირა ხელისუფლების სათავეში ეროვნული ძალების მოსვლას, რაც კომუნისტური რეჟიმის დამხობას ნიშნავდა. ხალხის უდიდესი უმრავლესობის მხარდაჭერამ შესაძლებელი გახადა ეროვნული რევოლუციის უმტკივნეულო განხორციელება. მმართველი ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" ამომრჩევლებს დაპირდა რადიკალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ რეფორმებს, სრული დამოუკიდებლობის მიღწევას და ფართო დემოკრატიულ უფლებებს. სამწუხაროდ, ეროვნულობის ნიღაბს ამოფარებული პოლიტიკური ბლოკი ზვიად გამსახურდიას მეთაურობით ფაქტობრივად ბოლშევიზმის რეანიმაციის გზას დაადგა და ერთპარტიული დიქტატი დაამკვიდრა. ხელისუფლებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა უზურპაციამ ბევრს გაახსენა 20-30-იანი წლების დიქტატი.

ხელისუფლება პოპულისტური ლოზუნგებით იფარგლებოდა. წინასაარჩევნო დაპირებების მიუხედავად მას პრაქტიკულად არ განუხორციელებია უმნიშვნელოვანესი დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმები. პირიქით, ერთპარტიული და ერთპიროვნული დიქტატურის განმტკიცებისათვის ხელისუფლებამ ოპოზიციური მოძრაობის ძალების მიმართ კონფრონტაციის კურსი აირჩია. ფართოდ დეკლარირებული ერთგულება დემოკრატიული პრინციპებისადმი ფაქტობრივად უსაგნო, სიტყვიერ რიტორიკას წარმოადგენდა. იდევნებოდა განსხვავებული აზრი, რაც გადაიზარდა ინტელიგენციის ტოტალურ დევნაში. რესპუბლიკაში, რომლის ლიდერი იყო ყოფილი დისიდენტი ზვიად გამსახურდია, გაჩნდნენ პოლიტიკური პატიმრები.

ამან მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ძალზე უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. ოპოზიციურ მოძრაობაში გაჩნდნენ ახალი ჯგუფები და ორგანიზაციები, მათ შორის პარლამენტშიც, „დემოკრატიული ცენტრისა" და „ქარტია-91"-ის სახით. დაარსდა სამოქალაქო მოძრაობა „დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველო". ოპოზიციის გააქტიურებას ხელისუფლებამ რეპრესიებით უპასუხა. განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება მას შემდეგ, რაც მთავრობის შეიარაღებულმა ძალებმა დაარბიეს და სროლა აუტეხეს 1991 წლის 2 სექტემბერს თბილისის კინოს სახლთან გამართულ ოპოზიციის მშვიდობიან საინფორმაციო მიტინგს. პრეზიდენტმა გამსახურდიამ ამ ფაქტის არაობიექტური შეფასებით კიდევ უფრო გაართულა სიტუაცია. მან, ფაქტობრივად, თვით ოპოზიცია დაადანაშაულა მიტინგის დარბევის ინსპირირებაში.

ხელისუფლების უპრინციპო პოზიციის გამო მისგან განმდგარი ეროვნული გვარდიის ნაწილები, რომლებსაც თენგიზ კიტოვანი ხელმძღვანელობდა, იძულებული გახდნენ მსგავსი რეპრესიებისგან დაეცვათ ოპოზიცია. ამ უკანასკნელს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდა გადაწურული ხელისუფლებასთან კონსტრუქციული დიალოგის იმედი.

ამ იმედს განხორციელება არ ეწერა.

22 სექტემბრისა და 4-5 ოქტომბრის დრამატულმა მოვლენებმა ძალადობის ახალი ესკალაცია გამოიწვია და საბოლოოდ შეულახა პრესტიჟი ხელისუფლებას არა მარტო ოპოზიციის, არამედ მოსახლეობის სხვადასხვა ფენების თვალშიც.

კონფრონტაციამ აპოგეას მიაღწია 22 დეკემბერს, როცა ხელისუფლებამ დიალოგის ნაცვლად ოპოზიციას ტყვია დაუშინა. ეს იყო რეჟიმის დასასრულის დასაწყისი. მთავრობის სახლიდან სროლებმა ხელისუფლებისა და ოპოზიციის უკიდურესი დაპირისპირება ძმათამკვლელ ომში გადაზარდა. ამ სამხედრო კონფრონტაციამ 6 იანვრის ჩათვლით გასტანა და მოუშუშებელი ჭრილობები დაუტოვა ქართველ ხალხს.

ზვიად გამსახურდიას დამხობილი რეჟიმის ნაცვლად ძალაუფლება ხელთ აიღო საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭომ და დროებითმა მთავრობამ პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის ბატონ თენგიზ სიგუას მეთაურობით. მათ საქვეყნოდ განაცხადეს, რომ დაემხო დიქტატურა და ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ დემოკრატიული ოპოზიციური ძალები. საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობისადმი მიმართვაში საქართველოს დროებითმა მთავრობამ განაცხადა, რომ 1991 წლის დეკემბერსა და იანვარში საქართველოში მოხდა საერთო-სახალხო დემოკრატიული აჯანყება იმ დანაშაულებრივი რეჟიმის წინააღმდეგ, რომელმაც დაამტკიცა, რომ კომუნისტური ტოტალიტარული მმართველობა შეიძლება შეიცვალოს ეროვნულ ლოზუნგებს ამოფარებული ავტორიტარული ხელისუფლებით.

საგარეო პოლიტიკის სფეროში ხელისუფლება ფაქტობრივად დაადგა თვითიზოლაციის გზას, რაც განპირობებული იყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მისწრაფებით დაეარსებინა დახურული საზოგადოება, სადაც მას სრული ბატონობის პირობები შეექმნებოდა. მიმართვაში აღინიშნებოდა, რომ საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისის მოგვარება დიალოგის, კეთილი ნებისა და კონსტრუქციული პრინციპების დაცვის გზით შეუძლებელი გახდა ოპოზიციური ძალების მრავალი ცდის მიუხედავად.

ამავე მიმართვაში გაცხადდა ახალი ხელისუფლების საპროგრამო დებულებები: ახალი პარლამენტის არჩევნები, საქართველოში სამოქალაქო თანხმობის და მშვიდობის აღდგენის მიზნით ეროვნული უმცირესობების ინტერესებისა და უფლებების უზრუნველყოფის საფუძველზე კონსტრუქციული ნაბიჯების გადადგმა. კერძოდ, შიდა ქართლში (ყოფილ „სამხრეთ ოსეთში") დაპირისპირებულ მხარეებს მიეცათ წინადადება შეეწყვიტათ კონფლიქტი და პოლიტიკური საშუალებებით მოლაპარაკების გზით გადაეჭრათ ყველა სადავო საკითხი.

რაც შეეხება აფხაზეთის რესპუბლიკას, სადაც მრავალი საუკუნის მანძილზე გვერდიგვერდ ცხოვრობენ ქართველები და აფხაზები, ახალი ხელისუფლების თქმით, იგი შეინარჩუნებს პოლიტიკურ ავტონომიას საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფარგლებში.

დროებითი მთავრობის მიმართვაში წარმოჩნდა მისი საგარეო პოლიტიკის ფუძემდებლური პროგრამა, რომელიც ემყარება საყოველთაოდ აღიარებულ საერთაშორისო პრინციპებს: ერთა მშვიდობიან თვითგამორკვევას, საზღვრების ურღვევობას და სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას, ადამიანის უფლებათა დაცვას, დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და ვალდებულებებისადმი ერთგულებას. საქართველოს მთავრობამ ასევე მთლიანად და უპირობოდ გაიზიარა ჰელსინკის საბოლოო აქტის, ვენის შეხვედრის დოკუმენტისა და პარიზის ქარტიის დებულებები. გარდა ამისა, მან იკისრა ვალდებულება ოფიციალურად შეუერთდეს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას, ევროპაში ჩვეულებრივი იარაღის შემცირების შეთანხმებას.

მიმართვის დასასრულს საქართველოს დროებითმა მთავრობამ ამცნო საერთაშორისო საზოგადოებრიობას, რომ ქართველი ხალხი ყველაფერს იღონებს მსოფლიოს ცივილიზებულ ხალხთა ოჯახში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად.

დროებითმა მთავრობამ გადადგა პირველი დემოკრატიული ნაბიჯები. პერიოდული პრესის ყველა ორგანო დამოუკიდებელი გახდა, ტელევიზია და რადიო გათავისუფლდა ხელისუფლების დიქტატისგან, გაუქმდა წინა რეჟიმის მიერ მიღებული კანონი პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების რეგისტრაციის შეჩერების შესახებ, უმაღლეს სასწავლებლებს მიენიჭათ სრული ავტონომია. უახლოეს დროში დაიწყება მიწის რეფორმის პირველი ეტაპი, განხორციელდება პრივატიზაცია, თავისუფალი მეწარმეობა. ფასების მომავალ ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით გაორკეცდა პენსიები, ხელფასები და სტიპენდიები.

ახალი ხელისუფლება აპირებს საქართველოს რესპუბლიკის 1921 წლის კონსტიტუციის ამოქმედებას. მით უმეტეს, რომ აღნიშნული კონსტიტუცია იურიდიულად არ გაუქმებულა დღიდან მისი მიღებისა.

ახალი ხელისუფლება პრაქტიკულად დასაწყისშივე ურთულესი პრობლემების წინაშე დადგა. საქართველო ჯერ კიდევ ორ ნაწილადაა გაყოფილი: ახალი ხელისუფლების მხარდამჭერებად და ყოფილი პრეზიდენტის მომხრეებად. ეს დაპირისპირება უკიდურესად გაამძაფრა ზვიად გამსახურდიას მოულოდნელმა დაბრუნებამ დასავლეთ საქართველოში და მისმა მოწოდებებმა ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ.

კონფრონტაცია არც დღეს დაწყებულა და არც გუშინ. იგი რესპუბლიკას თავს დაატყდა მაშინ, როცა ეროვნული დამოუკიდებლობის პრინციპები პოლიტიკური სპეკულაციის საგანი გახდა.

ამჟამინდელი ვითარება საქართველოში შექმნა უმძაფრესმა პოლიტიკურმა, სოციალურმა და ფსიქოლოგიურმა კრიზისმა.

მართალია, საქართველოს წელიწადზე ოდნავ მეტი ხნის მანძილზე ბევრი განსაცდელი დაატყდა თავს, გადასაწყვეტია უამრავი პრობლემა, მაგრამ ვერავითარი ძალა ვერ დააბრუნებს მას უკან, ტოტალიტარული ერთპიროვნული მმართველობისაკენ. დემოკრატიამ მისგან უზარმაზარი მსხვერპლი მოითხოვა. და, იმედია, დემოკრატიის გზა შეუქცევადი იქნება.

საქინფორმი.

ალალი ცრემლით...

გასულ კვირას დიდების მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში ქართველმა ხალხმა სამუდამო სამარეს მიაბარა გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე. ალალი ცრემლით დაიტირა თბილისმა ირაკლი აბაშიძე და განშორების ჟამს კიდევ ერთხელ უთხრა გულითადი მადლობა უძვირფასესი შემოქმედებისათვის, გამორჩეული ერისშვილობისა და თავკაცობისათვის.

გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი, რომელიც გახსნა ირაკლი აბაშიძის დამკრძალავი კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა ალბერტ თავხელიძემ. პოეტს, კოლეგასა და მეგობარს გამოსათხოვარი სიტყვებით მიმართეს ბატონებმა გურამ ფანჯიკიძემ, ანდრია აფაქიძემ, ავთანდილ ხაჭვარელიძემ, როინ მეტრეველმა, ჯანსუღ ჩარკვიანმა, გოგა ლორთქიფანიძემ, ელგუჯა ამაშუკელმა, ლაშა თაბუკაშვილმა, ჩვენმა იტალიელმა თვისტომმა ქალბატონმა ქეთევან ბაგრატიონ-ორსინმა.

მსუბუქი იყოს თქვენთვის, ბატონო ირაკლი, მიწა მრავალტანჯული საქართველოსი.

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულება

პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საკოორდინაციო საბჭომ განიხილა „დას"-ის მიერ მომზადებული და საბჭოს საარჩევნო კომისიის მიერ მოწონებული პროექტი „საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულებისა" და მიზანშეწონილად მიიჩნია მისი გამოქვეყნება საყოველთაო განხილვისათვის. შენიშვნები და წინადადებები, გთხოვთ, წარუდგინოთ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (დადიანის ქ. № 5).

I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. არჩევნების საფუძვლები

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — პარლამენტის არჩევნები ეწყობა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში აირჩევა 167 დეპუტატი 3 წლის ვადით. პარლამენტის წევრთა არჩევნები ტარდება ერთ და მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში ერთადერთი გადასაცემი ხმის სისტემის საფუძველზე.

დაუშვებელია ამ დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა არჩევნების დანიშვნიდან პარლამენტის მიერ დეპუტატის უფლებამოსილების ცნობამდე.

მუხლი 2. საყოველთაო საარჩევნო უფლება

პარლამენტის არჩევნები საყოველთაოა: არჩევის უფლება აქვს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეს (საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღებამდე საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება პირი, რომელიც მუდმივადაა ჩაწერილი საქართველოს ტერიტორიაზე ან ფაქტობრივად ცხოვრობს საქართველოში, სხვაგან არაა მუდმივად ჩაწერილი და არაა სხვა ქვეყნის მოქალაქე), რომელსაც არჩევნების დღისათვის 18 წელი შეუსრულდა, ხოლო არჩეული შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დღისთვის 23 წელი შეუსრულდა და საქართველოში მუდმივად უცხოვრია არანაკლებ 10 წლისა, წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, პოლიტიკური შეხედულებების, სარწმუნოების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის მიუხედავად.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრს პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში მისი უფლებამოსილების ცნობისთანავე უწყდება ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრის უფლებამოსილება.

პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება ამავდროულად იყოს დეპუტატობის კანდიდატი სახელმწიფო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლობით ორგანოში ან კანდიდატი სახელმწიფო ხელისუფლებისა თუ მმართველობის სხვა არჩევით თანამდებობაზე.

არჩევნებში არ მონაწილეობენ ის პირნი, რომლებიც მსახურობენ სხვა ქვეყნის სამხედრო ან გასამხედროებულ შენაერთებში, ფსიქიკურად დაავადებული მოქალაქენი, რომლებიც სასამართლომ ქმედუუნაროდ ცნო, აგრეთვე ის პირნი, რომლებიც სასამართლოს განაჩენით თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფებიან.

მუხლი 3. თანასწორი საარჩევნო უფლება

პარლამენტში არჩევნები თანასწორია: ყოველ ამომრჩეველს ერთი ხმა აქვს; საქართველოს მოქალაქენი არჩევნებში თანასწორ საფუძველზე მონაწილეობენ.

მუხლი 4. პირდაპირი საარჩევნო უფლება

პარლამენტში არჩევნები პირდაპირია: პარლამენტში დეპუტატებს ამომრჩევლები უშუალოდ ირჩევენ.

მუხლი 5. ფარული კენჭისყრა

პარლამენტის არჩევნები ფარული კენჭისყრით ტარდება; დაუშვებელია კონტროლი ამომრჩეველთა ნების გამოვლენისადმი და ხმის ღიად მიცემა.

მუხლი 6. არჩევნების ჩატარება საარჩევნო კომისიების მიერ

პარლამენტის არჩევნების ჩატარებას უზრუნველყოფენ საარჩევნო კომისიები, რომლებიც იქმნება საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების (ტექსტში შემდგომ „პარტიების"), მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, შრომითი კოლექტივების, სასწავლებელთა კოლექტივების, ამომრჩეველთა ჯგუფების წარმომადგენლებისაგან.

მუხლი 7. მოქალაქეთა, მათ გაერთიანებათა, შრომით კოლექტივთა და სასწავლებელთა კოლექტივთა მონაწილეობა არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში

საქართველოს მოქალაქენი პარლამენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ როგორც პარტიების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, შრომითი და სასწავლებელთა კოლექტივების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

პარტიები, საზოგადოებრივი გაერთიანებები, შრომითი და სასწავლებელთა კოლექტივები პარლამენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებაში მონაწილეობენ როგორც საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების მეშვეობით, ისე უშუალოდაც.

მუხლი 8. პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება

პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელების უფლება აქვთ საქართველოს რესპუბლიკისა და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამისად ლეგალიზებულ ან რეგისტრირებულ პარტიებს, მათ გაერთიანებებს — საარჩევნო ბლოკებს და ამომრჩეველთა ჯგუფებს განცხადების წარდგენის გზით.

მუხლი 9. პარლამენტის წევრის სტატუსის შეუთავსებლობა თანამდებობრივ მდგომარეობასთან

ის პირნი, რომლებიც შედიან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოების შემადგენლობაში, გარდა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრისა, მათი მოადგილეები, საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მმართველობის სხვა რესპუბლიკურ ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, პირნი, რომლებიც შედიან საკრებულოთა გამგეობებისა და ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შემადგენლობაში, საკრებულოთა გამგეობებისა და ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უწყებებისა და სამსახურების ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, მართლმსაჯულების ორგანოებსა და საარბიტრაჟო სასამართლოებში არჩეული (დანიშნული) პირები, საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისი მოადგილეები, ქვემდგომი პროკურორები და მათი მოადგილეები, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე და წევრები, სამხედრო მოსამსახურეები არ შეიძლება იმავდროულად იყვნენ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრები.

ამ მუხლში ჩამოთვლილი პირები პარლამენტის წევრად არჩევის შემთხვევაში მათი უფლებამოსილების ცნობისთანავე გათავისუფლებულად ითვლებიან დაკავებული თანამდებობიდან (სამხედრო მოსამსახურეები წყვეტენ სამხედრო სამსახურს), ხოლო თუ ზემოაღნიშნულ თანამდებობებზე დაინიშნება (აირჩევა) პარლამენტის წევრი, მას უწყდება სადეპუტატო უფლებამოსილება ამ თანამდებობის დაკავების მომენტიდან.

მუხლი 10. არჩევნების მატერიალური უზრუნველყოფა, არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯები, საარჩევნო ფონდი

პარლამენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ძირითადად სახელმწიფო გაიღებს. ამ ხარჯების სავარაუდო ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია და ამტკიცებს დროებითი მთავრობა. ხარჯების ფაქტობრივ ოდენობას არჩევნების დამთავრებიდან ორი თვის ვადაში ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია. არჩევნების დამთავრების შემდეგ მას ამტკიცებს ახლადარჩეული პარლამენტი.

პარლამენტის არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული თანხის გამოყოფასა და კომისიის ანგარიშზე მის ჩარიცხვას ახორციელებს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-10 კვირისა.

მასთან ერთად, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებს, საარჩევნო ბლოკებსა და დამოუკიდებელ კანდიდატებს შეუძლიათ შექმნან საარჩევნო ფონდები, რისთვისაც მათ უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთი სახსრები, საქართველოს მოქალაქეთა, შრომით კოლექტივთა და საზოგადოებრივ გაერთიანებათა შეწირულობანი. აღნიშნული მიზნით თავიანთი სახსრების გამოყენების თაობაზე შრომითი კოლექტივები და საზოგადოებრივი გაერთიანებანი იღებენ გადაწყვეტილებას.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკისა და დამოუკიდებელი კანდიდატის საარჩევნო კამპანიისათვის საარჩევნო ფონდიდან დახარჯული თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ოდენობას (პარტიისა და ბლოკისთვის დადგენილი თანხის ოდენობა ტოლია მათ მიერ დასახელებული კანდიდატების რაოდენობის ნამრავლისა დამოუკიდებელი კანდიდატისათვის დადგენილი თანხის ოდენობაზე). საარჩევნო ფონდს განაგებს მისი გამგეობა ფონდის გამგებლის, ბუღალტრისა და მოლარის შემადგენლობით, რომელთაც ნიშნავს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმძღვანელი პირი, საარჩევნო ბლოკში შემავალი პარტიების ხელმძღვანელი პირნი, დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატი. საარჩევნო ფონდის გამგებელი პასუხისმგებელია ფონდის მიზნობრივი გამოყენების სისწორისათვის.

საარჩევნო ფონდისთვის განკუთვნილი თანხა ჩაირიცხება არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის, დამოუკიდებელი კანდიდატის ანგარიშწორების ანგარიშზე, რომელიც იხსნება საქართველოს ბანკებში (მათ შესაბამის განყოფილებებში) ცენტრალურ (საოლქო) საარჩევნო კომისიაში მათი რეგისტრირების შემდეგ.

არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილებისა და გამოყენების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნებამდე 9 კვირით ადრე. საოლქო საარჩევნო კომისიებისთვის გამოყოფილი თანხა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ მათ მიმდინარე ანგარიშებზე უნდა ჩარიცხოს არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-9 კვირისა. აღნიშნული კომისიებისთვის მიმდინარე ანგარიშები იხსნება საქართველოს ბანკების ადგილობრივ განყოფილებებში კომისიებისთვის სახსრების გამოყოფის შესახებ ცენტრალური საარჩევნო კომისიის დადგენილების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 5 დღისა. საარჩევნო კომისიისთვის გამოყოფილ სახსრებს კომისიის სახელით განაგებენ და დანიშნულებისამებრ მისი სწორად გამოყენებისათვის პასუხისმგებელნი არიან კომისიის თავმჯდომარე და ბუღალტერი. საოლქო საარჩევნო კომისიები არჩევნების დამთავრებიდან არა უგვიანეს 3 კვირისა წყვეტენ ყოველგვარ ანგარიშსწორებას ორგანიზაციებთან და ცალკეულ პირებთან და ამის შემდეგ ერთი კვირის ვადაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგენენ ანგარიშს მის მიერ დადგენილი ფორმით, ხოლო ორი კვირის ვადაში მის ანგარიშზე ჩარიცხავენ თავიანთ ანგარიშებზე არსებულ ნაშთს.

პარლამენტის არჩევნებიდან არაუგვიანეს 30 დღისა წყდება ყოველგვარი ანგარიშსწორება საარჩევნო ფონდებიდან და დამოუკიდებელი კანდიდატის საარჩევნო ფონდის ნაშთი ჩაირიცხება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე. ამასთან, თუ პარტიის, საარჩევნო ბლოკის ერთი კანდიდატი მაინც იქნა არჩეული პარლამენტის წევრად, მისი უფლებამოსილების ცნობის შემდეგ პარტიის საარჩევნო ფონდის ნაშთი ჩაირიცხება პარტიის ანგარიშზე, საარჩევნო ბლოკისა — თანაბრად მასში შემავალი პარტიების ანგარიშებზე; წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხა ჩაირიცხება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიშზე.

არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს ორი თვისა ცენტრალური საარჩევნო კომისია და არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიები, საარჩევნო ბლოკები და პარლამენტის წევრებად არჩეული დამოუკიდებელი კანდიდატები აქვეყნებენ არჩევნებისათვის გამოყენებული სახსრების ანგარიშს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ საარჩევნო ფონდების გამოყენების მართლზომიერებას აკონტროლებენ ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები, ქვემდგომი საარჩევნო კომისიების მიერ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯებისას — ცენტრალური საარჩევნო კომისია, ხოლო ამ უკანასკნელისას— პარლამენტი.

სახელმწიფო საწარმოები, დაწესებულებები, ორგანიზაციები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები საარჩევნო კომისიების განკარგულებაში უფასოდ გადასცემენ არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისათვის საჭირო შენობებსა და მოწყობილობას.

მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო ორგანოები, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის ის საშუალებები, რომელთა ნუსხასაც დაადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია, უფასოდ აქვეყნებენ საარჩევნო კომისიების მიერ წარდგენილ მასალებს, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და დეპუტატობის კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამებსა და სხვა მასალებს ამ დებულებით დადგენილ ფორმებში.

მუხლი 11. საჯაროობა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს

პარლამენტის არჩევნების მომზადებასა და ჩატარებას ახორციელებენ საარჩევნო კომისიები ღიად და საჯაროდ. საარჩევნო კომისიები მოქალაქეებს აცნობენ თავიანთ მუშაობას, საარჩევნო ოლქებისა და უბნების შექმნას, საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, ადგილსამყოფელს, მუშაობის დროს, ამომრჩეველთა სიებს, არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების ნუსხას, მათ მიერ წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა და დამოუკიდებელ კანდიდატთა სიებს, მათ საარჩევნო პროგრამებს, აწვდიან ცნობებს დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ, კენჭისყრისა და არჩევნების შედეგებს.

საარჩევნო კომისიების სხდომებზე და ხმის მისაცემ შენობებში დასწრების უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს შესაბამის საარჩევნო ოლქში, აგრეთვე დეპუტატობის კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირებს, მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების თითო წარმომადგენელს, პრესის, ტელევიზიისა და რადიოს წარმომადგენლებს, მეთვალყურეებს სხვა სახელმწიფოებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ხოლო არჩევნების დღეს ხმის მისაცემ შენობებში, საარჩევნო ყუთების დალუქვიდან არჩევნების შედეგების შეჯამების დამთავრებამდე, — დეპუტატობის კანდიდატებისა და პარტიების (საარჩევნო ბლოკების) მიერ დანიშნულ თითო მეთვალყურესაც.

საზოგადოებრივი გაერთიანების წარმომადგენლის უფლებამოსილება დადასტურებული უნდა იყოს ამ გაერთიანების ხელმძღვანელი პირის ხელმოწერილი წარდგინებით, ხოლო მეთვალყურისა — დეპუტატობის კანდიდატის (პარტიის, საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლის) წარდგინებით. წარდგინება შესაბამის საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს სხდომამდე არა უგვიანეს ორი დღისა. საარჩევნო კომისიამ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს 24 საათის განმავლობაში. უარის თქმის შემთხვევაში საარჩევნო კომისია იძლევა დასაბუთებულ წერილობით პასუხს, რომლის გასაჩივრებაც შეიძლება ზემდგომ საარჩევნო კომისიაში.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები აშუქებენ პარლამენტის არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მიმდინარეობას. მათთვის გარანტირებულია შეუფერხებელი დასწრება არჩევნებთან დაკავშირებულ ყველა კრებასა და სხდომაზე. საარჩევნო კომისიები, არჩევნებში მონაწილე პარტიები, საარჩევნო ბლოკები, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, შრომითი კოლექტივები აწვდიან მათ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საშუალება ეძლევა ყოველ დილით საქართველოს რადიოთი და ყოველ საღამოს საქართველოს ტელევიზიით, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიებს — ყოველ დილა-საღამოს ადგილობრივი ქსელით გადასცენ ოპერატიული ინფორმაცია. ინფორმაციას გადასცემს შესაბამისი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან კომისიის მიერ ამ მიზნით საგანგებოდ დანიშნული პირი.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომების ანგარიშებს, მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს სისტემატურად აქვეყნებენ რესპუბლიკური გაზეთები, ხოლო მისი ქვემდგომი საარჩევნო კომისიებისას — შესაბამისი რაიონული (საქალაქო) გაზეთები.

მუხლი 12. პასუხისმგებლობა არჩევნების დებულების დარღვევისათვის

იმ პირს, რომელიც ძალადობით, მოტყუებით, მუქარით, მოსყიდვით ან სხვა გზით ხელს უშლის იმას, რომ საქართველოს მოქალაქემ თავისუფლად განახორციელოს თავისი უფლება — აირჩიოს და იყოს არჩეული დეპუტატად პარლამენტში, ეწეოდეს წინასაარჩევნო აგიტაციას, პირს, რომელიც ერევა საარჩევნო კომისიების მუშაობაში და ხელს უშლის საარჩევნო უბნებში ხმის მიცემას, კანდიდატის რეგისტრაციასთან, ხმების დათვლასა და არჩევნების შედეგების დადგენასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებას, აქვეყნებს ან სხვა საშუალებით ავრცელებს დეპუტატობის კანდიდატის, არჩევნებში მონაწილე პარტიის პატივისა და ღირსების შემლახავ ცნობებს ან აგიტაციას ეწევა არჩევნების დღეს მასობრივი ინფორმაციის ან სხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, საარჩევნო კომისიის წევრს ან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების თანამდებობის პირს, რომელმაც გაყალბა საარჩევნო დოკუმენტები, განზრახ არასწორად დათვალა ხმები, დაარღვია კენჭისყრის საიდუმლოება, საარჩევნო კომისიებს არ წარუდგინა საჭირო მასალები და მონაცემები ან არ შეასრულა მათი გადაწყვეტილებები, აგრეთვე საარჩევნო კომისიის წევრს, რომელმაც აგიტაცია გასწია დეპუტატობის კანდიდატის ან არჩევნებში მონაწილე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ, სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობის ან სამართალდამცავი ორგანოების თანამდებობის პირს, რომელმაც თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა გამოიყენა ზემოაღნიშნული მიზნით, ეკისრება ამ დებულებითა და კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა.

საქმეებს ზემოაღნიშნული დარღვევების შესახებ განიხილავს ის სასამართლო, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც მოხდა არჩევნების დებულების დარღვევა. სასამართლოს გადაწყვეტილება, გარდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილებისა, შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში.

იმ პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების კანდიდატებს, აგრეთვე დამოუკიდებელ კანდიდატებს, რომლებიც დაუშვებენ ამ დებულებით დადგენილი საარჩევნო ფონდის ზღვრული ოდენობის გადამეტებას, ჩამოერთმევათ პარლამენტში მათ მიერ მოპოვებული მანდატები და აეკრძალებათ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს უახლოეს მომდევნო არჩევნებში მონაწილეობა. საქმეებს ასეთი დარღვევების შესახებ განიხილავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

II. არჩევნების დანიშვნა. არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების რეგისტრაცია

მუხლი 13. არჩევნების დანიშვნა

პარლამენტის არჩევნებს ნიშნავს... არჩევნებამდე არა უგვიანეს 15 კვირისა.

ცნობა არჩევნების დღის შესახებ ქვეყნდება რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში არჩევნების დანიშვნიდან არა უგვიანეს 2 დღისა.

მუხლი 14. არჩევნებში მონაწილე პარტიების რეგისტრაცია

პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენისა და საარჩევნო კომისიებში თავიანთი წარმომადგენლების დანიშვნის უფლების მისაღებად პარტიებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რისთვისაც არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-14 კვირის ხუთშაბათისა კომისიას უნდა წარუდგინონ პარტიის ხელმძღვანელი პირის მიერ ხელმოწერილი სათანადო განცხადება, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს (ხოლო თუ პარტიის მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე,— შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს) მიერ გაცემული ცნობა საქართველოს რესპუბლიკის (შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის) კანონმდებლობის შესაბამისად პარტიის ლეგალიზაციის ან რეგისტრაციის შესახებ და პარტიის წესდება-პროგრამა. განცხადებაში დასახელებული უნდა იყოს პარტიის წარმომადგენელი, მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი, რომელსაც ცენტრალური საარჩევნო კომისია აძლევს დათარიღებულ ცნობას განცხადების მიღების შესახებ.

ზემოთ ჩამოთვლილი პირობების შესრულებიდან 3 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია წყვეტს პარტიის რეგისტრაციის საკითხს და აძლევს სათანადო ცნობას მის წარმომადგენელს.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მიერ საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში აღძრულია საკითხი პარტიის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე პარტიის რეგისტრაციის საკითხი არ განიხილება.

რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში პარტიას უფლება აქვს უარის მიღებიდან 3 დღის ვადაში გაასაჩივროს კომისიის გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში. სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში.

რეგისტრაციის ვადის დამთავრებიდან 2 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რესპუბლიკურ გაზეთებში აქვეყნებს რეგისტრირებული პარტიების სიას განცხადებათა წარდგენის რიგის მიხედვით, აგრეთვე იმ პარტიათა სიას, რომელთაც უარი ეთქვათ რეგისტრირებაზე და უარის თქმის მიზეზებს.

პარლამენტის არჩევნების დამთავრების შემდეგ გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ პარტიებსაც, რომლებიც არ მონაწილეობდნენ პარლამენტის არჩევნებში, თუკი ისინი რეგისტრაციას გაივლიან ამ მუხლის შესაბამისად. რეგისტრაციის შემდეგ ისინი იძენენ ადრე რეგისტრირებული პარტიების ყველა უფლებას.

მუხლი 15. საარჩევნო ბლოკები და მათი რეგისტრაცია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულ პარტიებს უფლება აქვთ გაერთიანდნენ საარჩევნო ბლოკებად (ბლოკს შეიძლება ეწოდოს სახელი, რომელიც არ უნდა ემთხვეოდეს უფრო ადრე რეგისტრირებული ბლოკის სახელს), რომელთა რეგისტრირებაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ იწყება პარტიების რეგისტრაციის დაწყებიდან მე-4 დღეს და მთავრდება არჩევნებამდე მე-8 კვირის შაბათს.

კომისიისთვის წარდგენილ სათანადო განცხადებას ხელს უნდა აწერდეს ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელი პირი, მასში დასახელებული უნდა იყოს ბლოკის წარმომადგენელი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მისი მისამართი და ტელეფონის ნომერი, რომელსაც კომისია აძლევს დათარიღებულ ცნობას განცხადების მიღების შესახებ. განცხადებას უნდა ერთვოდეს საარჩევნო ბლოკში შემავალი ყველა პარტიის ხელმძღვანელ პირთა მიერ ხელმოწერილი საარჩევნო ბლოკის წესდება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს საარჩევნო ღონისძიებებთან დაკავშირებით ბლოკის მიერ გადაწყვეტილებათა მიღების წესი, მათ შორის, დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენისა და წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების, ბლოკიდან პარტიის გასვლის, ბლოკში ახალი წევრის მიღებისა და ბლოკიდან პარტიის გარიცხვის წესები; მითითებული უნდა იყოს პირი (პირები), რომელსაც აქვს ბლოკის განცხადებებზე ხელმოწერის უფლება.

განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რესპუბლიკურ გაზეთებში აქვეყნებს ცნობას საარჩევნო ბლოკის შექმნის შესახებ.

საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტია არ შეიძლება იმავდროულად გაერთიანებული იყოს სხვა საარჩევნო ბლოკში ანდა დამოუკიდებლად მონაწილეობდეს არჩევნებში.

III. საარჩევნო ოლქები, საარჩევნო უბნები და საარჩევნო ოლქის ნაწილები

მუხლი 16. საარჩევნო ოლქები

პარლამენტის არჩევნებისთვის საარჩევნო ოლქებს ქმნის ცენტრალური საარჩევნო კომისია საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების, ამ ერთეულებში ამომრჩეველთა რაოდენობისა და სხვა თავისებურებათა გათვალისწინებით და არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-13 კვირის სამშაბათისა. რესპუბლიკურ გაზეთებში აქვეყნებს მათ სიას ოლქების საზღვრების, მათში ამომრჩეველთა რაოდენობისა და ასარჩევი დეპუტატების რაოდენობის მითითებით.

მუხლი 17. საარჩევნო უბნები

პარლამენტის არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად საარჩევნო ოლქები იყოფა საარჩევნო უბნებად.

საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, ძნელად მისადგომ ადგილებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე, რომლებიც მიეკუთვნებიან საარჩევნო ოლქს გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით. საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს დაწესებულებებშიც, რომელთა საარჩევნო ოლქისათვის მიკუთვნების საკითხს წყვეტს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საარჩევნო უბნებს ქმნიან საოლქო საარჩევნო კომისიები ოლქის ტერიტორიაზე მოქმედი ხელისუფლების ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების წარდგინებითა და მათთან შეთანხმებით. არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე წესით გემის მიწერის ნავსადგურის ადგილის მიხედვით. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს დაწესებულებებში საარჩევნო უბნები იქმნება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წარდგინებით.

საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 3000 ამომრჩევლისათვის არჩევნებამდე არა უგვიანეს 45 დღისა. ძნელად მისადგომ ადგილებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე საარჩევნო უბნები იქმნება იმავე ვადაში, ხოლო გამონაკლის შემთხვევებში — არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

საოლქო საარჩევნო კომისია ადგილობრივ გაზეთებში უბნების შექმნიდან 5 დღის ვადაში აქვეყნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიებისა და ხმის მისაცემი შენობების მისამართებს.

მუხლი 18. საარჩევნო ოლქის ნაწილები

გამოკლებული დეპუტატების ნაცვლად არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო ოლქი იყოფა იმდენ საარჩევნო ნაწილად, რამდენ მანდატიანიცაა ოლქი. ყველა ნაწილში ამომრჩეველთა დაახლოებით თანაბარი რაოდენობა უნდა იყოს. თითოეული ნაწილი საარჩევნო უბანს მთლიანად უნდა მოიცავდეს.

საარჩევნო ოლქს საერთო არჩევნებიდან ორი თვის ვადაში საარჩევნო ნაწილებად ყოფს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია და სათანადო მონაცემებს დაუყოვნებლივ წარუდგენს დასამტკიცებლად ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია საერთო არჩევნებიდან არა უგვიანეს 3 თვისა დაყოფაში შესწორებების შეტანა.

IV. საარჩევნო კომისიები

მუხლი 19. საარჩევნო კომისიების სისტემა

პარლამენტის არჩევნების ჩასატარებლად იქმნება საარჩევნო კომისიები:

ა) საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის საოლქო საარჩევნო კომისიები;

გ) საუბნო საარჩევნო კომისიები.

მუხლი 20. საარჩევნო კომისიების წევრობა

საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება წარდგენილი იყოს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს რესპუბლიკის ნებისმიერი მოქალაქე.

საარჩევნო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება დანიშნული იყოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი, სახელმწიფო ხელისუფლების აღმასრულებელ და სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელები და მათი მოადგილეები, დეპუტატობის კანდიდატი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში, არჩევნებში მონაწილე პარტიისა და საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელი, დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილი პირი.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, მოადგილის, მდივნისა და წევრის უფლებამოსილება წყდება:

ა) ამ მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრულ საფუძველზე;

ბ) გადადგომის შემთხვევაში (განცხადება გადადგომის შესახებ წარედგინება ზემდგომ საარჩევნო კომისიას, ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრისა კი — თვით ამ კომისიას) და კმაყოფილდება მისი მიღებისთანავე, თუ ეს გადადგომა არ იწვევს კომისიის საქმიანობის შეჩერებას; წინააღმდეგ შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიიღება სათანადო ზომები, რის შემდეგაც კმაყოფილდება განცხადება გადადგომის შესახებ);

გ) გაწვევის ან უფლებამოსილების ჩამორთმევის შემთხვევაში;

დ) იმ პარტიის აკრძალვის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, რომლის მიერაცაა დანიშნული კომისიის წევრი;

ე) იმ პარტიათა გაერთიანებისას, რომელთა მიერაცაა დანიშნული კომისიის წევრები, თუკი გაერთიანების შედეგად შეიქმნა ახალი პარტია. ასეთ შემთხვევაში, გაერთიანების შედეგად შექმნილ პარტიას ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის შემდეგ უფლება აქვს რეგისტრაციიდან 30 დღის ვადაში დანიშნოს თითო წევრი ყველა საარჩევნო კომისიაში.

მუხლი 21. საარჩევნო კომისიების წევრთა ხელშეუხებლობა

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და კომისიის წევრები, ხოლო არჩევნების პერიოდში შესაბამისი საოლქო (საუბნო) საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და კომისიის წევრები არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააპატიმრონ ან დაადონ ადმინისტრაციული სახდელი სასამართლო წესით, თუ არ იქნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარჩევნო კომისიის წევრი დაკავებულ იქნა დანაშაულის ჩადენის ადგილზე.

მუხლი 22. საარჩევნო კომისიათა მუშაობის ორგანიზაცია

საარჩევნო კომისიების მუშაობის წესი განისაზღვრება ამ დებულებითა და კომისიების რეგლამენტით, რომელიც მიიღება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დამსწრეთა ორი მესამედის უმრავლესობით.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეებსა და მდივნებს ირჩევენ შესაბამისი კომისიის სხდომაზე მისი შექმნისთანავე.

საარჩევნო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს კომისიის შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი. კომისიის წევრები სხდომაში მონაწილეობას ადასტურებენ დასწრების ფურცელზე ხელმოწერით. კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფისას თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტად ითვლება. კომისიის იმ წევრებს, რომლებიც არ ეთანხმებიან კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვთ გამოთქვან განსაკუთრებული აზრი, რომელიც წერილობითი ფორმით ერთვის ოქმს და განსახილველად ეგზავნება ზემდგომ საარჩევნო კომისიას.

საარჩევნო კომისიას წარმოადგენს მისი თავმჯდომარე. იმ შემთხვევაში, თუ კომისიას თავმჯდომარე არა ჰყავს ან მას არ შეუძლია თავისი ფუნქციების შესრულება, თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს მათი უფლებამოსილების მთელი დროის განმავლობაში პარლამენტის, ხოლო მის არჩევამდე — საქართველოს რესპუბლიკის დროებითი მთავრობის მიერ დაინიშნებათ ხელფასი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. საოლქო საარჩევნო კომისიების თითო წევრს ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებით ენიშნება ხელფასი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ამასთან, მათ უნარჩუნდებათ სამუშაო ადგილი, რომელიც დაკავებული ჰქონდათ ზემოაღნიშნულ თანამდებობებზე დანიშვნამდე (არჩევამდე).

საარჩევნო კომისიების ყველა წევრს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მთელი დროის განმავლობაში ეძლევა უხელფასო შვებულების სარგებლობის უფლება. ამასთან, ცენტრალური საარჩევნო კომისიის ყველა წევრს, საოლქო საარჩევნო კომისიის 4 წევრს და საუბნო საარჩევნო კომისიის ორ წევრს არჩევნების მომზადებისა და ჩატარების მთელი დროის განმავლობაში, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიის დანარჩენ წევრებს არჩევნების მომზადების პერიოდის ბოლო ათი დღის განმავლობაში შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება დაენიშნოთ ხელფასი არა უმცირეს მათი საშუალო ხელფასისა არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან. თითოეული კომისიისთვის ხელფასიანი წევრების რაოდენობას ადგენს ზემდგომი საარჩევნო კომისია, ხოლო ცენტრალური საარჩევნო კომისიისთვის — თვით ეს კომისია. არასამუშაო დროის განმავლობაში კომისიაში შესრულებული სამუშაო მის წევრებს აუნაზღაურდებათ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი ოდენობით არჩევნების ჩასატარებლად გამოყოფილი სახსრებიდან.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს მათი უფლებამოსილების დანარჩენი დროის განმავლობაში ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარდგინებით და პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიძლება დაენიშნოთ ხელფასი სახელმწიფო ბიუჯეტიდან. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალ საშტატო განრიგს კომისიის წარდგინებით ამტკიცებს პარლამენტი.

საარჩევნო კომისიებისთვის გამოყოფილ სახსრებს კომისიის სახელით განაგებენ და დანიშნულებისამებრ მისი სწორად გამოყენებისთვის პასუხისმგებელნი არიან კომისიის თავმჯდომარე, საფინანსო განყოფილების გამგე და ბუღალტერი.

საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში შემავალ პირთ უფლება არა აქვთ მონაწილეობა მიიღონ აგიტაციაში არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკებისა და დეპუტატობის კანდიდატების სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ.

მუხლი 23. საარჩევნო კომისიათა სამუშაო ჯგუფები

არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით ყოველ საარჩევნო კომისიასთან, გარდა საუბნოსა, შეიძლება შეიქმნას სამუშაო ჯგუფები. სამუშაო ჯგუფების წევრებს, მათ შორის კომისიის ბუღალტერს ნიშნავს შესაბამისი საარჩევნო კომისია. იმავე კომისიის გადაწყვეტილებით, სამუშაო ჯგუფის წევრებს აუნაზღაურდებათ მათ მიერ შესრულებული სამუშაო.

მუხლი 24. საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია იქმნება კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და არანაკლებ 20 წევრისაგან.

კომისიის თავმჯდომარესა და 4 წევრს არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-14 კვირის სამშაბათისა ნიშნავს... ხელისუფლებისა და მმართველობის რაიონული და საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა) ორგანოების, პარტიების, მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების წინადადებათა გათვალისწინებით. დასახელებულმა ორგანიზაციებმა თავისი წინადადებები...-ს უნდა წარუდგინონ არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-15 კვირის შაბათისა... თავის გადაწყვეტილებას დაუყოვნებლივ აქვეყნებს რესპუბლიკურ გაზეთებში. იქვე მითითებული უნდა იყოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მისამართი და ტელეფონის ნომრები.

კომისიის კიდევ თითო წევრს ნიშნავენ ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი საბჭოები ან მათი პრეზიდიუმები არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-13 კვირის შაბათისა.

პარტიებს, მას შემდეგ, რაც ისინი რეგისტრაციას გაივლიან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არჩევნებში მონაწილეობის მიზნით, უფლება აქვთ დანიშნონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თითო წევრი. პარტიებმა თავისი გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა შეატყობინონ ამ არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-13 კვირის კვირა დღისა.

თუ არჩევნებამდე მე-13 კვირის კვირა დღეს კომისიის შემადგენლობაში 23 პირზე ნაკლები აღმოჩნდა, პარტიებს უფლება ეძლევათ ორი დღის ვადაში დანიშნონ კომისიის წევრები თანაბარი რაოდენობით მისი შემადგენლობის 23-მდე შესავსებად (ამ რაოდენობას ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია). თუ ამ ვადაში კომისიის შემადგენლობა კვლავ არ შეივსო... სამი დღის ვადაში ნიშნავს კომისიის დამატებით წევრებს მისი შემადგენლობის 23-მდე შესავსებად.

კომისიის შექმნიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნებამდე არა უადრეს მე-12 კვირის ორშაბათისა, იგი თავის წევრთაგან ირჩევს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა მთავრდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მომდევნო არჩევნების დანიშვნის დღეს.

ცენტრალური საარჩევნო კომისია თავის შემადგენლობას, კომისიის მისამართსა და ტელეფონის ნომრებს დაუყოვნებლივ აქვეყნებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გაზეთებში.

მუხლი 25. ცენტრალური საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი

ცენტრალური საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობით შექმნამდე მისი სხდომები უფლებამოსილია, თუ მათ ესწრება სხდომის დღეს კომისიის ფაქტობრივი შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედი.

ცენტრალური საარჩევნო კომისია:

1) კონტროლს უწევს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ამ დებულების შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას; საჭიროების შემთხვევაში განმარტავს ამ დებულებას; თავისი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით იღებს ინსტრუქციებს საარჩევნო კამპანიის ჩატარებისთვის აუცილებელი და ამ დებულებით განუსაზღვრელი საკითხების გადასაჭრელად;

2) აუცილებლობის შემთხვევაში, თავისი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, ახდენს თავის უფლებამოსილებათა ნაწილის დელეგირებას სპეციალური ჯგუფისთვის წინასწარ განსაზღვრული საკითხების გადასაწყვეტად;

3) ქმნის საარჩევნო ოლქებს და აკუთვნებს მათ სახელებსა და ნომრებს;

4) ნიშნავს საოლქო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა მოადგილეებსა და ორ-ორ წევრს, საჭიროების შემთხვევაში —კომისიების დამატებით წევრებს; აქვეყნებს კომისიების შემადგენლობას და მათ მისამართებს;

5) წყვეტს საარჩევნო ოლქისთვის იმ საარჩევნო უბნების მიწერის საკითხს, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ იქმნება;

6) აქვეყნებს საარჩევნო კომისიების წევრებად წარდგენისა და დანიშვნის, საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენისა და რეგისტრაციის დაწყებისა და დამთავრების თარიღებს;

7) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, მათ მიერ საარჩევნო ოლქებში წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;

8) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) წარმომადგენელს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და აძლევს მას სათანადო მოწმობას;

9) წარმართავს საარჩევნო კომისიების საქმიანობას, ისმენს მათ ინფორმაციას;

10) ამოწმებს საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებათა კანონიერებას, საჭიროების შემთხვევაში აუქმებს მათ და იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას; საგანგებო შემთხვევაში, თავისი შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ქვემდგომი საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების შეწყვეტისა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ შექმნილი ჯგუფისათვის ამ საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების გადაცემის შესახებ;

11) ადგენს არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების განაწილებისა და გამოყენების წესს, უნაწილებს ფულად სახსრებს საოლქო საარჩევნო კომისიებს, კონტროლს უწევს საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფას შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და განიხილავს არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

12) ადგენს პარლამენტში დეპუტატთა არჩევნების საარჩევნო ბიულეტენის, ამომრჩეველთა სიების, საარჩევნო კომისიების სხდომათა ოქმების, სხვა საარჩევნო დოკუმენტების ფორმებს, საარჩევნო ყუთებისა და საარჩევნო კომისიათა ბეჭდების ნიმუშებს, საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს;

13) უზრუნველყოფს საარჩევნო კამპანიაში პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, დეპუტატობის კანდიდატების მონაწილეობის თანაბარ პირობებს;

14) განსაზღვრავს საარჩევნო კამპანიაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მონაწილეობისა და მათი გამოყენების წესს ამ დებულებისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონების შესაბამისად და აკონტროლებს მათ მუშაობას;

15) განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, დეპარტამენტების, სახელმწიფო კომიტეტების და უწყებების; სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ვალდებულებებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ისმენს მათ ინფორმაციას;

(გაგრძელება მე-3 გვ.).

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულება

(გაგრძელება).

16) ამტკიცებს საარჩევნო ბიულეტენების ტექსტებს, უზრუნველყოფს მათ დამზადებასა და ბიულეტენებით საოლქო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;

17) აჯამებს რესპუბლიკაში არჩევნების შედეგებს, არჩევნების დღიდან 30 დღის ვადაში პრესაში აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში არჩეული დეპუტატების სიას; რეგისტრაციაში ატარებს არჩეულ დეპუტატებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;

18) პარლამენტის სხდომაზე ასრულებს ხმის დამთვლელი კომისიის მოვალეობას სამანდატო და ხმის დამთვლელი კომისიებისა და პარლამენტის თავმჯდომარის არჩევისას;

19) გადასცემს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სამანდატო კომისიას დეპუტატთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;

20) ნიშნავს ხელახალ ხმის მიცემას იმ საარჩევნო უბნებში, სადაც ხმის მიცემა ბათილად იქნა ცნობილი;

21) ამტკიცებს საარჩევნო ოლქის დაყოფას საარჩევნო ნაწილებად;

22) დეპუტატის გამოკლების შემთხვევაში საარჩევნო ოლქის შესაბამის ნაწილში ნიშნავს არჩევნებს და უზრუნველყოფს მის ჩატარებას;

23) განიხილავს საოლქო საარჩევნო კომისიათა გადაწყვეტილებებისა და მოქმედების გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ შესახებ გადაწყვეტილებები;

24) გამონაკლის შემთხვევაში — თუ შეუძლებელია ამ დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესრულება ან სხვა მიზეზთა გამო მიზანშეუწონელია დანიშნულ დღეს არჩევნების ჩატარება — ადგენს საარჩევნო ოლქში საარჩევნო ღონისძიებათა ახალ ვადებს, ნიშნავს არჩევნების ჩატარების ახალ თარიღს;

25) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ დებულებისა და საქართველოს რესპუბლიკის სხვა კანონების შესაბამისად.

მუხლი 26. საოლქო საარჩევნო კომისიები

საოლქო საარჩევნო კომისიები იქმნება კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და არა ნაკლებ 4 წევრისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და ორ წევრს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია საარჩევნო ოლქების სიის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 6 დღისა და არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-12 კვირის შაბათისა. ამ დროს მას შეუძლია გაითვალისწინოს ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამისი რაიონული, საქალაქო (გარდა რაიონული დაქვემდებარების ქალაქებისა და ქალაქებისა, რომლებსაც აქვთ რაიონული დაყოფა), ქალაქის რაიონული ორგანოების, პარტიების, მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, საარჩევნო ოლქში განლაგებული შრომითი და სასწავლებელთა კოლექტივების, ამომრჩეველთა ჯგუფების წინადადებები. დასახელებულმა ორგანიზაციებმა თავისი წინადადებები უნდა წარუდგინონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას საარჩევნო ოლქების სიის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს მე-6 დღის. ცენტრალური საარჩევნო კომისია რესპუბლიკურ და რაიონულ (საქალაქო) გაზეთებში, დანიშვნიდან არა უგვიანეს 2 დღისა, აქვეყნებს კომისიების შემადგენლობას, მათ ადგილსამყოფელსა და ტელეფონის ნომრებს.

საოლქო საარჩევნო კომისიის თითო წევრი შეუძლიათ დანიშნონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა პარტიებმა. პარტიებმა თავისი გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა აცნობონ არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-12 კვირის შაბათისა.

თუ ამ დროისთვის კომისიის შემადგენლობაში 7 პირზე ნაკლები აღმოჩნდა, ცენტრალური საარჩევნო კომისია 6 დღის ვადაში ნიშნავს კომისიის დამატებით წევრებს მისი შემადგენლობის 7-მდე შესავსებად და დაუყოვნებლივ ატყობინებს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

კომისიის შექმნიდან 2 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნებამდე არა უადრეს მე-12 კვირის კვირა დღისა, იგი თავის წევრთაგან ირჩევს საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს და დაუყოვნებლივ ატყობინებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა მთავრდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მომდევნო არჩევნების დანიშვნის დღეს.

საოლქო საარჩევნო კომისია თავის შემადგენლობას, კომისიის მისამართსა და ტელეფონის ნომრებს დაუყოვნებლივ აქვეყნებს შესაბამის ადგილობრივ გაზეთებში.

მუხლი 27. საოლქო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილებანი

საოლქო საარჩევნო კომისია:

1) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე;

2) ქმნის საარჩევნო უბნებს და აქვეყნებს მათ სიებს;

3) ნიშნავს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და 2 წევრს, საჭიროების შემთხვევაში — კომისიის დამატებით წევრებს; აქვეყნებს კომისიების შემადგენლობასა და მათ მისამართებს;

4) წარმართავს საუბნო საარჩევნო კომისიების საქმიანობას, ისმენს მათ ინფორმაციებს;

5) უნაწილებს ფულად სახსრებს საუბნო საარჩევნო კომისიებს; კონტროლს უწევს საუბნო საარჩევნო კომისიების უზრუნველყოფას შენობებით, ტრანსპორტით, კავშირგაბმულობით და განიხილავს საარჩევნო ოლქში არჩევნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სხვა საკითხებს;

6) თვალყურს ადევნებს ამომრჩეველთა სიების შედგენას და მათ წარდგენას საყოველთაო გაცნობისათვის;

7) რეგისტრაციაში ატარებს ამომრჩეველთა ჯგუფების მიერ წარდგენილ დეპუტატობის დამოუკიდებელ კანდიდატებს, აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;

8) რეგისტრაციაში ატარებს დეპუტატობის კანდიდატების ნდობით აღჭურვილ პირებს, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) წარმომადგენელს მოცემულ საარჩევნო ოლქში, აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;

9) უზრუნველყოფს საარჩევნო კამპანიაში დეპუტატობის კანდიდატების, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მონაწილეობის თანაბარ პირობებს; საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გავრცელებას ოლქში რეგისტრირებული დეპუტატობის კანდიდატების სიებით, მათი ბიოგრაფიული მონაცემებითა და წინასაარჩევნო პროგრამების ძირითადი დებულებებით;

10) მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით ადგენს საყოველთაო გაცნობისათვის საარჩევნო პლაკატების გამოფენის ადგილებს და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს სათანადო სტენდების დამზადებას;

11) თვალყურს ადევნებს მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების მიერ ამ დებულების მოთხოვნათა შესრულებას;

12) ისმენს მმართველობის ადგილობრივ ორგანოთა, სახელმწიფო საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ინფორმაციებს არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

13) ხელს უწყობს შრომით და სასწავლებელთა კოლექტივებს, მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებს, ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატებთან და დეპუტატობის კანდიდატებს მათთან შეხვედრების მოწყობაში, როგორც ამ კოლექტივებში, ისე ამომრჩეველთა საცხოვრებელ ადგილას;

14) უზრუნველყოფს საარჩევნო ბიულეტენებით საუბნო საარჩევნო კომისიების მომარაგებას;

15) თუ საარჩევნო ოლქი ერთმანდატიანია, ადგენს და ადგილობრივ პრესაში აქვეყნებს საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა, არჩევნებში მონაწილეთა და ხმის მიცემის მონაწილეთა რიცხვს, არჩევნების საბოლოო შედეგს;

16) ადგენს და ადგილობრივ პრესაში აქვეყნებს საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა და არჩევნებში მონაწილეთა რიცხვს; აქვეყნებს არჩევნების საბოლოო შედეგებს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ მათი დადგენის შემდეგ;

17) აწყობს ხელახალი ხმის მიცემას იმ საარჩევნო უბნებში, სადაც ხმის მიცემა ბათილად იქნა ცნობილი;

18) ნაწილებად ყოფს საარჩევნო ოლქს და დასამტკიცებლად წარუდგენს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას;

19) აწყობს არჩევნებს საარჩევნო ოლქში გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად;

20) განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისიათა გადაწყვეტილებებისა და მოქმედების გამო განცხადებებსა და საჩივრებს და გამოაქვს მათ შესახებ გადაწყვეტილებები;

21) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ დებულების შესაბამისად.

მუხლი 28. საუბნო საარჩევნო კომისიები

საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და, როგორც წესი, სულ ცოტა ორი წევრისაგან საარჩევნო უბნების სიის გამოქვეყნებიდან არა უადრეს მე-7 და არა უგვიანეს მე-10 დღისა. კომისიის წევრთა მინიმალურ რაოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია და აქვეყნებს ადგილობრივ პრესაში საარჩევნო უბნების შესახებ მონაცემების გამოქვეყნებასთან ერთად.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და ორ წევრს ნიშნავს საოლქო საარჩევნო კომისია მის ტერიტორიაზე მოქმედი ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების, ამ ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი და სასწავლებელთა კოლექტივების, ამომრჩეველთა ჯგუფების წინადადებათა გათვალისწინებით.

საუბნო საარჩევნო კომისიის თითო წევრი შეუძლიათ დანიშნონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებმა და საარჩევნო ბლოკებმა.

თუ საარჩევნო უბნების სიის გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობა დადგენილზე ნაკლები აღმოჩნდა, საოლქო საარჩევნო კომისია მისი შემადგენლობის შესავსებად 3 დღის ვადაში ნიშნავს კომისიის დამატებით წევრებს.

განცხადებანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად წარდგენისა და დანიშვნის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს საარჩევნო უბნების სიის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს მე-6 დღისა.

კომისიის შექმნიდან 2 დღის ვადაში იგი თავის წევრთაგან ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს და დაუყოვნებლივ ატყობინებს საოლქო საარჩევნო კომისიას.

საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა მთავრდება არჩევნების დამთავრებისთანავე.

საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობას, კომისიის მისამართსა და ტელეფონის ნომრებს დაუყოვნებლივ აქვეყნებს ადგილობრივ გაზეთებში.

მუხლი 29. საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებანი

საუბნო საარჩევნო კომისია:

1) ადგენს უბნის მიხედვით ამომრჩეველთა სიებს;

2) ამომრჩევლებს აცნობს ამომრჩეველთა სიებს, იღებს და იხილავს განცხადებებს სიებში უსწორობათა შესახებ და წყვეტს მათში სათანადო ცვლილებათა შეტანის საკითხს;

3) ამომრჩევლებს აძლევს ამომრჩევლის ბარათსა და მოთხოვნისას — ხმის მიცემის უფლების მოწმობას;

4) აუწყებს მოსახლეობას საუბნო საარჩევნო კომისიის ადგილსამყოფელს და მისი მუშაობის დროს, აგრეთვე არჩევნების თარიღსა და ხმის მისაცემ ადგილს;

5) უზრუნველყოფს ხმის მისაცემად შენობის, საარჩევნო ყუთებისა და კაბინების, საინფორმაციო სტენდების მომზადებას;

6) ორგანიზაციას უწევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს;

7) ადგენს საარჩევნო უბანში არჩევნებში მონაწილეთა რიცხვს, ხოლო თუ შესაბამისი საარჩევნო ოლქი ერთმანდატიანია, — ხმის მიცემის მონაწილეთა რიცხვს და დეპუტატობის ყოველი კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობასაც;

8) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს არჩევნების მომზადებისა და კენჭისყრის ორგანიზაციის საკითხებზე და იღებს სათანადო გადაწყვეტილებებს;

9) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 30. საარჩევნო კომისიების წევრების დანიშვნისა და წევრებად წარდგენის წესი

საარჩევნო კომისიებში თითო წევრის დანიშვნის უფლება აქვს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ პარლამენტის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით რეგისტრირებული პარტიის რესპუბლიკურ ხელმძღვანელ ორგანოს ან პარტიის ხელმძღვანელ პირს — ყველა საარჩევნო კომისიაში გარდა საუბნოსი (არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიას — საუბნო საარჩევნო კომისიაშიც), რეგიონულ (ადგილობრივ) ხელმძღვანელ ორგანოს — შესაბამისი რეგიონის ტერიტორიაზე შექმნილ საოლქო საარჩევნო კომისიებში (თუ პარტია დამოუკიდებლად მონაწილეობს არჩევნებში — საუბნო საარჩევნო კომისიაშიც) საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მოქმედი პარტიის პირველადი ჯგუფების კრებებს, თუ ეს პარტია დამოუკიდებლად მონაწილეობს არჩევნებში, და ამ საარჩევნო ოლქში საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელს — შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიაში. თუ ერთსა და იმავე კომისიაში თავისი წარმომადგენელი ერთზე მეტმა ორგანომ დანიშნა, უპირატესობა ზემდგომი ორგანოს წარმომადგენელს ეძლევა.

საარჩევნო კომისიების წევრებად კანდიდატურების წარდგენის უფლება აქვთ:

1) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ან მმართველობის ადგილობრივ ორგანოს შესაბამისი საკრებულოს (საბჭოს) ქვემდებარე ტერიტორიაზე მოქმედ საარჩევნო კომისიებში;

2) მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების რესპუბლიკურ ხელმძღვანელ ორგანოს — ყველა საარჩევნო კომისიაში, რეგიონულ (ადგილობრივ) ხელმძღვანელ ორგანოს — შესაბამისი რეგიონის ტერიტორიაზე შექმნილ საარჩევნო კომისიებში, საარჩევნო ოლქის ქვემდებარე ტერიტორიაზე მოქმედი პირველადი ჯგუფების კრებებს — შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიებში. ეს ორგანოები წარმომადგენლებს ასახელებენ სხდომებზე (კრებებზე, კონფერენციებზე);

3) საარჩევნო ოლქში განლაგებული შრომითი და სასწავლებელთა (მათ ფილიალთა) კოლექტივების კრებებს (კონფერენციებს) — შესაბამის საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში;

4) ამომრჩევლებს შესაბამის საარჩევნო კომისიაში განცხადების წარდგენის გზით — საოლქო საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის საარჩევნო ოლქში მცხოვრები სულ ცოტა 100 ამომრჩეველი. საუბნო საარჩევნო კომისიაში, თუ განცხადებას ხელს აწერს შესაბამის საარჩევნო ოლქში მცხოვრები სულ ცოტა 20 ამომრჩეველი. ეს რიცხვები შეიძლება შემცირდეს, თუ ამას დაადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საარჩევნო კომისიის წევრად წარდგენისა თუ დანიშვნისას ამ დებულებით განსაზღვრულ ვადებში სათანადო ორგანოს უნდა წარედგინოს პარტიის შესაბამისი ხელმძღვანელი ორგანოს ან ხელმძღვანელი პირის (საუბნო საარჩევნო კომისიის წევრად დანიშვნის უფლება აქვს საოლქო საარჩევნო კომისიაში არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის, საარჩევნო ბლოკის წარმომადგენელსაც), რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოს, წარდგენის უფლების მქონე ამ მუხლში ჩამოთვლილ სხვა ორგანოთა განცხადება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საარჩევნო კომისიის წევრად წარდგენილი (დანიშნული) პირის სახელი, მამის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, პარტიულობა, თანამდებობა (საქმიანობა), სამუშაო ადგილის დასახელება, მისამართი და ტელეფონის ნომერი, ბინის მისამართი და ტელეფონის ნომერი. ამ მუხლით განსაზღვრულ შემთხვევებში განცხადებას უნდა ერთვოდეს:

ა) კრების (სხდომის, კონფერენციის) ოქმის ამონაწერი, ოქმის ამონაწერში (განცხადებაში) მითითებული უნდა იყოს წარმდგენი ორგანოს დასახელება, მისამართი და ტელეფონის ნომერი, ორგანოს (კოლექტივის) წევრთა რიცხვი, კრების (სხდომის, კონფერენციის) მონაწილეთა რიცხვი, კენჭისყრის შედეგი, გადაწყვეტილების მიღების თარიღი, კომისიის წევრად წარდგენილი (დანიშნული) პირის სახელი, მამის სახელი და გვარი,. ოქმი დამოწმებული უნდა იყოს კრების (სხდომის, კონფერენციის) თავმჯდომარისა და მდივნის ხელმოწერებით;

ბ) ამ მუხლის მე-2 ნაწილის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში — განცხადების მხარდამჭერ ამომრჩეველთა სახელი, მამის სახელი და გვარი, დაბადების თარიღი, ბინის მისამართი, ხელმოწერის თარიღი, ხელმოწერა, წარდგენის ინიციატორთა იგივე მონაცემები და ტელეფონის ნომრები.

განცხადების წარმდგენს ეძლევა დათარიღებული ცნობა განცხადების მიღების შესახებ.

მუხლი 31. კრების, სხდომის, კონფერენციის, ყრილობის მოწვევისა და ჩატარების წესი

სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოების, პოლიტიკური პარტიების, მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანებების სხდომების (კონფერენციების, ყრილობების) მოწვევისა და ჩატარების წესები განისაზღვრება მათი საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით.

შრომით და სასწავლებელთა კოლექტივებში კრებებს (კონფერენციებს) იწვევენ მათი საბჭოები, პროფკავშირთა კომიტეტები (ბიუროები) ადმინისტრაციასთან ერთად საკუთარი ინიციატივით ან კოლექტივის წევრთა ერთი მეხუთედის მოთხოვნით. კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კოლექტივის წევრთა ნახევარზე მეტი; კონფერენცია უფლებამოსილია, თუ მას ესწრება არჩეულ დელეგატთა არა ნაკლებ ორი მესამედისა. კრების (კონფერენციის) მუშაობაში მონაწილეობას მისი წევრები ადასტურებენ რეგისტრაციის ფურცელზე ხელმოწერით, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს კრების (კონფერენციის) თავმჯდომარისა და მდივნის მიერ. საარჩევნო კომისიის წევრად შეიძლება დასახელდეს ნებისმიერი ამომრჩეველი, ოღონდ, აუცილებელია მისი თანხმობა. პიროვნება წარდგენილად ითვლება, თუ მას ხმას მისცემს კრების რეგისტრირებულ მონაწილეთა (კონფერენციის საერთო შემადგენლობის) ნახევარზე მეტი. კონფერენციის დელეგატების არჩევისას წარმომადგენლობის ნორმას ადგენს კონფერენციის მომწვევი ორგანო.

კრების, სხდომის, კონფერენციის, ყრილობის ოქმი უნდა ინახებოდეს პარლამენტის სამანდატო კომისიის მიერ დეპუტატების უფლებამოსილების დამტკიცებამდე.

მუხლი 32. საარჩევნო კომისიების შემადგენლობის შეცვლის წესი

საარჩევნო კომისიის ნებისმიერი წევრი თვით კომისიის მიერ თავისუფლდება კომისიაში თავისი მოვალეობის შესრულებისაგან ამ დებულების მე-20 მუხლის ა) — ე) პუნქტებით განსაზღვრულ კანონიერ საფუძველზე.

კომისიის წევრის გაწვევის უფლება აქვს მას, ვინც წარადგინა ან დანიშნა იგი კომისიის წევრად.

კომისიის წევრისათვის უფლებამოსილების ჩამორთმევის უფლება აქვს ზემდგომ საარჩევნო კომისიას (ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრისათვის კი — თვით ამ კომისიას) კომისიის წევრის მიერ პარლამენტის არჩევნების დებულებისა და არჩევნების შესახებ კანონების დარღვევისას ან თავისი მოვალეობის სისტემატურად უგულებელყოფისას. უფლებამოსილების ჩამორთმევის საკითხი წყდება კომისიის სხდომაზე ფარული კენჭისყრით მისი სრული შემადგენლობის ხმათა უმრავლესობით.

ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში თავისი მოვალეობის შესრულებისაგან კომისიის წევრის გათავისუფლებისას ან მისი გარდაცვალებისას კომისიის ახალ წევრს ნებისმიერ დროს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საარჩევნო ოლქში დანიშნულია არჩევნები, ნიშნავს ის ორგანო ან ორგანიზაცია, რომელსაც დანიშნული ჰყავდა კომისიის გამოკლებული წევრი, აგრეთვე ზემდგომი საარჩევნო კომისია, თუ მოცემულ კომისიაში წევრთა რაოდენობა დადგენილზე ნაკლები აღმოჩნდა. ასეთ შემთხვევაში, თუ მოცემულ საარჩევნო ოლქში არჩევნებამდე დარჩენილია არაუმეტეს 9 კვირისა საოლქო საარჩევნო კომისიაში, ხოლო თუ დარჩენილია არა უმეტეს 20 კვირისა, საუბნო საარჩევნო კომისიაში ახალი წევრი უნდა დაინიშნოს 5 დღის ვადაში.

მუხლი 33. საარჩევნო კომისიებისათვის ხელშეწყობა მათი უფლებამოსილების განხორციელებაში

საარჩევნო კომისიების უფლებამოსილებათა ფარგლებში მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება სავალდებულოა ყველა სახელმწიფო, პარტიული და საზოგადოებრივი ორგანოს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, საწარმოების, დაწესებულება-ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისათვის. ისინი ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ საარჩევნო კომისიებს მუშაობაში, მიაწოდონ მათთვის საჭირო ცნობები და მასალები.

საარჩევნო კომისიებს უფლება აქვთ არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მიმართონ სახელმწიფო, პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანოებს, საწარმოებს, დაწესებულება-ორგანიზაციებს, თანამდებობის პირებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ხელმძღვანელებს, რომლებიც ვალდებულნი არიან განიხილონ დასმული საკითხები და საარჩევნო კომისიას პასუხი გასცენ სამი დღის ვადაში.

საარჩევნო კომისიების გადაწყვეტილებანი და მოქმედება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამ დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში — აგრეთვე სასამართლოში.

V. ამომრჩეველთა სია, ამომრჩევლის ბარათი და ხმის მიცემის უფლების მოწმობა

მუხლი 34. ამომრჩეველთა სია და მისი შედგენის წესი

ამომრჩეველთა სია დგება ცალკე თითოეული საარჩევნო უბნის მიხედვით და მას ხელს აწერენ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი. სიის შედგენისათვის საარჩევნო კომისიას შეუძლია მიიწვიოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოები უზრუნველყოფენ ამომრჩეველთა აღრიცხვას და გადასცემენ საუბნო საარჩევნო კომისიებს მათ ქვემდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ ამომრჩეველთა შესახებ იმ მონაცემებს, რომლებიც საჭიროა ამომრჩეველთა სიების შესადგენად.

სიაში შეაქვთ ამომრჩეველთა სახელი და გვარი, დაბადების თარიღი და მისამართი.

ამომრჩეველთა სიებს საარჩევნო უბნების მიხედვით, რომლებიც შექმნილია სავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, აგრეთვე არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს დაწესებულებებში ადგენენ აღნიშნული დაწესებულებების ხელმძღვანელებისა და გემების კაპიტნების მიერ წარდგენილ მონაცემთა საფუძველზე.

ამომრჩეველთა გვარები საარჩევნო სიაში შეაქვთ ხმის მიცემის მოწყობისათვის მოსახერხებელი წესით.

მუხლი 35. ამომრჩეველთა სიაში მოქალაქეთა შეტანის წესი

ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ საქართველოს ყველა მოქალაქე. (საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონის მიღებამდე საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება ის პირი, რომელიც მუდმივადაა ჩაწერილი საქართველოს ტერიტორიაზე ან ფაქტობრივად ცხოვრობს საქართველოში, სხვაგან არაა მუდმივად ჩაწერილი და არაა სხვა ქვეყნის მოქალაქე), რომელსაც არჩევნების დღისათვის ან არჩევნების დღეს შეუსრულდა 18 წელი, სიის შედგენის მომენტისათვის ცხოვრობს მოცემული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და აქვს ხმის მიცემის უფლება.

ამომრჩეველი შეტანილ უნდა იქნეს ამომრჩეველთა მხოლოდ ერთ სიაში.

მუხლი 36. მოქალაქეთათვის ამომრჩეველთა სიების გაცნობა, ამომრჩევლის ბარათების დარიგება და ამომრჩეველთა სიაში უსწორობის გასაჩივრების უფლება

ამომრჩეველთა სიები საყოველთაო გაცნობისათვის გამოაქვთ არჩევნებამდე 15 დღით ადრე, ხოლო საარჩევნო უბნებში, რომლებიც შექმნილია სავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, — არჩევნებამდე ორი დღით ადრე.

საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანიდან 10 დღის ვადაში ამომრჩევლებს ურიგებენ ამომრჩევლის ბარათებს, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს ამომრჩევლის სახელი და გვარი, ამომრჩეველთა სიაში რიგითი ნომერი. საარჩევნო უბნის ნომერი და მისამართი.

მოქალაქეთათვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა გაეცნონ ამომრჩეველთა სიას და შეამოწმონ მისი შედგენის სისწორე საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში.

ყოველ მოქალაქეს უფლება ეძლევა გაასაჩივროს ამომრჩეველთა სიაში შეუტანლობა, არასწორად შეტანა ან სიიდან ამოღება, აგრეთვე სიაში დაშვებული უზუსტობანი. სიაში უზუსტობის დაშვების შესახებ განცხადებას განიხილავს საუბნო საარჩევნო კომისია, რომელიც ვალდებულია არა უგვიანეს ორი დღისა, ხოლო არჩევნების დღესა და წინა დღეს — დაუყოვნებლივ, განიხილოს განცხადება, შეიტანოს საჭირო შესწორებანი სიაში ან განმცხადებელს მისცეს მისი განცხადების უარყოფის შესახებ დასაბუთებული გადაწყვეტილების პირი. ეს გადაწყვეტილება შეიძლება არჩევნებამდე არაუგვიანეს ხუთი დღისა გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომელიც მოვალეა სამი დღის ვადაში განიხილოს საჩივარი, რაიონის (ქალაქის) სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. სასამართლოს გადაწყვეტილების შესაბამისად ამომრჩეველთა სიაში შესწორება დაუყოვნებლივ შეაქვს საუბნო საარჩევნო კომისიას.

ამომრჩეველთა სიაში შეტანილი ცვლილებების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას.

მუხლი 37. ხმის მიცემის უფლების მოწმობა. ამომრჩეველთა დამატებითი სია

თუ ამომრჩეველმა რესპუბლიკის, ოღონდ არა ერთი და იმავე დასახელებული პუნქტის ფარგლებში ადგილსამყოფელი შეიცვალა ამომრჩეველთა სიების საყოველთაო გაცნობისათვის გამოტანიდან ხმის მიცემის დაწყებამდე, საუბნო საარჩევნო კომისია მისი თხოვნით და წარდგენილი პასპორტის ან მისი პიროვნების დამადასტურებელი სხვა საბუთის საფუძველზე ამომრჩეველს აძლევს ხმის მიცემის უფლების მოწმობას. ამასთან, ამომრჩეველთა სიაში შეაქვთ შესაბამისი აღნიშვნა. მოწმობის მიღებას ამომრჩეველი თავისი ხელმოწერით ადასტურებს.

ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე ამომრჩეველი შეაქვთ დამატებით სიაში საარჩევნო უბანში არჩევნების დღეს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით.

VI. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენა, მათი რეგისტრაცია და საარჩევნო ბიულეტენი

მუხლი 38. საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენა

საარჩევნო ოლქებში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენის უფლება აქვთ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებს და საარჩევნო ბლოკებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის გავლის შემდეგ, აგრეთვე ამომრჩეველთა ჯგუფებს საოლქო საარჩევნო კომისიისთვის განცხადების წარდგენის გზით.

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს არჩევნებამდე მე-8 კვირის განმავლობაში (ორშაბათი, შაბათი) უფლება აქვს ყოველ საარჩევნო ოლქში წარადგინოს იმდენი დეპუტატობის კანდიდატი, რამდენ მანდატიანიცაა საარჩევნო ოლქი.

პარტიის მიერ კანდიდატად შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ ამ პარტიის წევრი ან უპარტიო, ხოლო ბლოკის მიერ ამ ბლოკში გაერთიანებულ პარტიათა წევრები ან უპარტიოები. დაუშვებელია კანდიდატად იმ პირთა წარდგენა, რომლებიც არჩევნებში მონაწილე სხვა პარტიის წევრები არიან, გარდა ერთ საარჩევნო ბლოკში გაერთიანებული პარტიებისა. პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატად ერთი და იმავე პიროვნების წარდგენა შეიძლება მხოლოდ ერთ საარჩევნო ოლქში.

დეპუტატობის კანდიდატთა შერჩევის წესს განსაზღვრავენ თავად პარტიები და საარჩევნო ბლოკები.

საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატის წარდგენის მიზნით არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიამ და საარჩევნო ბლოკმა განცხადებით უნდა მიმართონ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: დეპუტატობის კანდიდატის გვარი, სახელი და მამის სახელი; დაბადების თარიღი; პროფესია და საქმიანობა; სამუშაო ადგილის დასახელება; მისამართი და თანამდებობა; სახელმწიფო ხელისუფლების რომელი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრია; საცხოვრებელი ადგილის მისამართი; სამსახურისა და ბინის ტელეფონის ნომრები; პარტიულობა; საარჩევნო ოლქის ნომერი, რომელშიც იგია წარდგენილი. განცხადებას უნდა ერთვოდეს დეპუტატობის კანდიდატის მიერ ხელმოწერილი საალრიცხვო ბარათი, რომელშიც კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან ერთად მითითებული უნდა იყოს, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს მოცემულ საარჩევნო ოლქში. როგორც მისი წარმდგენი პარტიის (საარჩევნო ბლოკის) კანდიდატმა.

ამომრჩეველთა ჯგუფს უფლება აქვს საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად წარადგინოს ნებისმიერი პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ დებულების მე-2 მუხლის მოთხოვნებს, თუ მას მხარს უჭერს ამ ოლქის ამომრჩეველთა განსაზღვრული რაოდენობა. ეს რაოდენობა ტოლია საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა იმ რაოდენობის 5 პროცენტისა, რომელიც მოდის ერთი მანდატის წილად, ოღონდ იგი არ უნდა იყოს 500-ზე ნაკლები. კანდიდატის წარდგენის მიზნით სულ ცოტა ხუთკაციანმა ჯგუფმა განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნებამდე არა უადრეს მე-10 კვირის და არა უგვიანეს მე-9 კვირის ორშაბათისა, რის შემდეგაც მას უფლება აქვს შეაგროვოს მხარდამჭერთა ხელმოწერები. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ის მონაცემები, რომლებიც ამ მუხლის წინა ნაწილშია ჩამოთვლილი, აგრეთვე ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენლის სახელი და გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი. განცხადებას ხელს უნდა აწერდეს ამომრჩეველთა ჯგუფის ყველა წევრი და მითითებული უნდა იყოს მათი გვარი, სახელი და მამის სახელი, დაბადების თარიღი და მისამართი.

განცხადების მიღებისთანავე ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენელს ეძლევა დათარიღებული ცნობა განცხადების მიღების შესახებ და მხარდამჭერთა ხელმოწერების ბლანკის ნიმუში.

ხელმოწერების შევსებული და გადანომრილი ბლანკები ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენლის განცხადებასთან ერთად, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ბლანკებისა და ხელმომწერ ამომრჩეველთა სრული რაოდენობა, არჩევნებამდე არა უგვიანეს მე-8 კვირის ოთხშაბათისა უნდა წარედგინოს საოლქო საარჩევნო კომისიას. მათ უნდა ერთვოდეს დეპუტატობის კანდიდატის მიერ ხელმოწერილი საალრიცხვო ბარათი, რომელშიც კანდიდატის საანკეტო მონაცემებთან ერთად მითითებულ უნდა იყოს, რომ იგი თანახმაა კენჭი იყაროს მოცემულ საარჩევნო ოლქში, როგორც დეპუტატობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა.

ზემოთ აღნიშნული საბუთების მიღებისთანავე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) და ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენელს ეძლევა ცნობა დეპუტატობის კანდიდატის წარდგენის შესახებ. ცნობაში უნდა აღინიშნოს საბუთების მიღების თარიღი და დრო. ამ დროის მიხედვით განისაზღვრება საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენის რიგითობა.

მუხლი 39. დეპუტატობის დამოუკიდებელი კანდიდატების მხარდამჭერთა სიები და მათი შემოწმება

საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა ჯგუფის მიერ წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატის მხარდაჭერა ამ საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებმა ხელმოწერების ბლანკზე ხელმოწერით უნდა გამოხატონ.

ხელმოწერების ბლანკის თავში უნდა ეწეროს: დეპუტატობის კანდიდატად წარსადგენი პირის გვარი, სახელი და მამის სახელი; დაბადების წელი; პროფესია და საქმიანობა; სამუშაო ადგილის დასახელება და თანამდებობა; ქალაქის (რაიონის) დასახელება, რომელშიც ცხოვრობს ეს პირი; სახელმწიფო ხელისუფლების რომელი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრია; პარტიულობა. ბლანკში უნდა ჩაიწეროს ამომრჩევლის გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების თარიღი, მისამართი, ხელმოწერის თარიღი, ხელმოწერა. ბლანკს ხელი უნდა მოაწეროს ხელმოწერების შემგროვებელმა და მიუთითოს თავისი სახელი, გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი. ბლანკები გადანომრილი უნდა იყოს და მათ უნდა ერთვოდეს ამომრჩეველთა ჯგუფის წარმომადგენლის განცხადება, რომელშიც აღნიშნული უნდა იყოს ბლანკებისა და ხელმომწერ ამომრჩეველთა სრული რაოდენობა.

ერთ ამომრჩეველს უფლება აქვს ხელი მოაწეროს თავის საარჩევნო ოლქში იმდენი კანდიდატის მხარდაჭერას, რამდენ მანდატიანიცაა მოცემული საარჩევნო ოლქი.

საოლქო საარჩევნო კომისიები ამოწმებენ ხელმოწერათა ნამდვილობას. ბათილად მიიჩნევა იმ ბლანკზე შესრულებული ყველა ხელმოწერა, რომელიც დადგენილი წესით არ არის დადასტურებული ხელმოწერების შემგროვებლის მიერ, აგრეთვე იმ პირთა ხელმოწერები, რომელთაც აკლიათ ამ მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილ მონაცემთაგან თუნდაც ერთი. ბათილად მიიჩნევა მოტყუებით, მუქარით ან ძალდატანებით შესრულებული ხელმოწერა, თუ ამას წერილობით დაადასტურებს ხელმომწერი ამომრჩეველი, აგრეთვე სხვა პირის მიერ შესრულებული ხელმოწერა, თუ ეს წერილობით დაადასტურა თვით ამომრჩეველმა ან დადასტურდა გრაფოლოგიური ექსპერტიზით. ხელმოწერათა ნამდვილობის შემოწმება და მათ შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება მთავრდება დეპუტატობის კანდიდატების რეგისტრაციის ვადის დამთავრების წინა დღეს.

თუ შემოწმების შედეგად დეპუტატობის კანდიდატის მხარდამჭერთა სიაში ნამდვილ ხელმოწერათა რაოდენობა 38-ე მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილზე ნაკლები აღმოჩნდა, კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება.

მხარდამჭერთა სიების გაცნობის უფლება აქვთ მხოლოდ საარჩევნო კომისიების წევრებსა და, საჩივრის შეტანის შემთხვევაში, სასამართლო ორგანოებს.

არჩევნებამდე 20 დღით ადრე მხარდამჭერთა სიები ნადგურდება.

მუხლი 40. დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია

საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა ჯგუფების მიერ წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატებს რეგისტრაციაში ატარებენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები და დაუყოვნებლივ გადასცემენ მათ შესახებ სავალდებულო მონაცემებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების მიერ წარდგენილებს კი — ცენტრალური საარჩევნო კომისია, რის შესახებაც იგი დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს და გადასცემს მათ კანდიდატთა შესახებ სავალდებულო მონაცემებს. კანდიდატების რეგისტრაციაში გატარება ხდება არჩევნებამდე მე-7 კვირის განმავლობაში (ორშაბათი — შაბათი).

პარტიების (საარჩევნო ბლოკების) და ამომრჩეველთა ჯგუფების მიერ წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის საკითხი განიხილება და გადაწყვეტილება მიიღება, თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილია ამ დებულების 38-ე და 39-ე მუხლებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი.

დეპუტატობის კანდიდატი რეგისტრაციაში არ გატარდება, თუ საარჩევნო კომისიისთვის წარდგენილი დოკუმენტები არ აკმაყოფილებენ ამ დებულებით გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას, კერძოდ, თუ არასწორი ან არასრულია მათში მოყვანილი მონაცემები, თუ ერთდროულად არსებობს ერთი და იმავე პიროვნების თანხმობა ერთზე მეტ საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად კენჭისყრაზე ან კენჭისყრაზე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) კანდიდატად და დამოუკიდებელ კანდიდატად, ან ერთზე მეტი პარტიის (საარჩევნო ბლოკის) კანდიდატად ანდა კანდიდატად პარლამენტსა და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა წარმომადგენლობით ორგანოში ან სახელმწიფო ხელისუფლებისა თუ მმართველობის სხვა არჩევით თანამდებობაზე.

რეგისტრაციაზე უარის თქმის ან რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში დეპუტატობის კანდიდატად წარდგენილ პირს უფლება აქვს უარის მიღებიდან 3 დღის ვადაში გაასაჩივროს საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ხოლო ამ უკანასკნელისა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და სასამართლომ გადაწყვეტილება უნდა გამოიტანონ საჩივრის შეტანიდან 3 დღის ვადაში.

რეგისტრირებულ დეპუტატობის კანდიდატთა გვარები იმ მონაცემებითურთ, რომლებიც შეიტანება საარჩევნო ბიულეტენში, საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ პრესაში ქვეყნდება რეგისტრაციის დამთავრებიდან 5 დღის ვადაში. გვარები ქვეყნდება მათი წარდგენის რიგის მიხედვით.

მუხლი 41. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში დეპუტატობის კანდიდატად წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება. დეპუტატობის კანდიდატის მიერ თავისი კანდიდატურის მოხსნა

პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს გააუქმოს თავისი გადაწყვეტილება დეპუტატობის კანდიდატის წარდგენის შესახებ. მისი კანდიდატურა მოიხსნება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის ხელმძღვანელი პირის (საარჩევნო ბლოკის წესდებითა და განცხადებით განსაზღვრული პირის) მიერ ხელმოწერილი განცხადების საფუძველზე.

დეპუტატობის კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს, მაგრამ არა უგვიანეს წინა დღის 12 საათისა, შეუძლია მოხსნას თავისი კანდიდატურა, რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

ინფორმაციას ზემოთ აღნიშნულის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისია აქვეყნებს განცხადების მიღებიდან სამი დღის ვადაში, ხოლო თუ არჩევნებამდე ოთხ დღეზე ნაკლებია დარჩენილი, — დაუყოვნებლივ.

მუხლი 42. საარჩევნო ბიულეტენი

საარჩევნო ბიულეტენში შეაქვთ შემდეგი მონაცემები: საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება; ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობა; დეპუტატობის კანდიდატთა გვარი, სახელი, მამის სახელი; დაბადების წელი; პროფესია და საქმიანობა; სამუშაო ადგილის დასახელება და თანამდებობა; პარტიულობა; პარტიის (საარჩევნო ბლოკის) დასახელება, რომელმაც წარადგინა დეპუტატობის კანდიდატი (თუ დეპუტატობის კანდიდატი ამომრჩეველთა ჯგუფის განცხადების საფუძველზეა წარდგენილი, უნდა დაიწეროს „დამოუკიდებელი") იმ თანამიმდევრობით, რომლითაც მოხდა მათი წარდგენა შესაბამისი საარჩევნო კომისიებისთვის; ყოველი გვარის წინ დაბეჭდილი უნდა იყოს ცარიელი უჯრედი მასში რიგითი ნომრის ჩასაწერად.

საარჩევნო ბიულეტენებს ბეჭდავს ცენტრალური საარჩევნო კომისია ქართულ ენასა და აფხაზურ ენაზე (აფხაზეთისათვის), აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, საარჩევნო ოლქის მოსახლეობის რომელიმე ნაწილისათვის გასაგებ სხვა ენაზეც.

საარჩევნო ბიულეტენები ზუსტ აღრიცხვას ექვემდებარება. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ შესაბამისად საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისათვის ბიულეტენების გადაცემას არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა. ყოველ საოლქო საარჩევნო კომისიას უნდა გადაეცეს შესაბამის საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობაზე დაახლოებით 5 პროცენტით მეტი ბიულეტენი. ბიულეტენების მიღებას კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე ან მდივანი ხელმოწერით ადასტურებს.

VII. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიათა და საარჩევნო ბლოკთა, დეპუტატობის კანდიდატთა საქმიანობის გარანტიები

მუხლი 43. დეპუტატობის კანდიდატის უფლებაა გამოვიდეს კრებებზე. ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. მიიღოს ინფორმაცია

დეპუტატობის კანდიდატები თანასწორი უფლებით მონაწილეობენ წინასაარჩევნო კამპანიაში დეპუტატობის კანდიდატად რეგისტრაციის მომენტიდან.

დეპუტატობის კანდიდატებს უფლება აქვთ გამოვიდნენ კრებებზე, თათბირებზე, სხდომებზე, მიტინგებზე, პრესაში, ტელევიზიითა და რადიოთი.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოები, საწარმოთა, დაწესებულება-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები მოვალენი არიან ხელი შეუწყონ დეპუტატობის კანდიდატებს ამომრჩევლებთან შეხვედრათა ორგანიზაციაში, საჭირო საცნობარო და საინფორმაციო მასალების მიღებაში.

მუხლი 44. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების, დამოუკიდებელი კანდიდატების წინასაარჩევნო პროგრამები

პარტიის (საარჩევნო ბლოკის) დეპუტატობის კანდიდატს უფლება აქვს საჯაროდ გამოვიდეს თავისი პარტიის (საარჩევნო ბლოკის), დამოუკიდებელ კანდიდატს კი — თავისი მომავალი საქმიანობის პროგრამით. პარტიის (საარჩევნო ბლოკის), დამოუკიდებელი კანდიდატის პროგრამა არ უნდა შეიცავდეს ომის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალმომრეობით შეცვლის ან დამხობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული სიძულვილისა და მტრობის მოწოდებას, არ უნდა აღვივებდეს რელიგიურ შუღლს.

(დასასრული მე-4 გვ.)

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების დებულება

(დასასრული)

ცენტრალური საარჩევნო კომისია უზრუნველყოფს პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წინასაარჩევნო პროგრამების გამოქვეყნებას რესპუბლიკურ და ადგილობრივ გაზეთებში, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიები უზრუნველყოფენ საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გავრცელებას ოლქში რეგისტრირებულ დეპუტატობის კანდიდატთა სიებით, მათი ბიოგრაფიული მონაცემებითა და წინასაარჩევნო პროგრამების ძირითადი დებულებებით, თუ აღნიშნული მასალები შესაბამის საარჩევნო კომისიას გადაეცემა არჩევნებამდე არა უგვიანეს 40 დღისა.

მუხლი 45. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წარმომადგენელნი, დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილი პირნი

არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე ყოველ პარტიასა და საარჩევნო ბლოკს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის შემდეგ შეუძლია დანიშნოს თითო წარმომადგენელი ყოველ საოლქო საარჩევნო კომისიაში (განცხადებაში მითითებული უნდა იყოს წარმომადგენლის სახელი და გვარი, მისამართი და ტელეფონის ნომერი), რომლებიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში მათ წარმომადგენელთან ერთად წარმოადგენენ პარტიის (საარჩევნო ბლოკის) ინტერესებს შესაბამის საარჩევნო კომისიებთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან, ამომრჩევლებთან ურთიერთობაში, წარმართავენ პარტიის (საარჩევნო ბლოკის) წინასაარჩევნო კამპანიას შესაბამის საარჩევნო ოლქში.

დეპუტატობის კანდიდატს შეუძლია იყოლიოს ათი ნდობით აღჭურვილი პირი, რომლებიც წარმართავენ დეპუტატობის კანდიდატის წინასაარჩევნო კამპანიას შესაბამის საარჩევნო ოლქში, ეწევიან აგიტაციას მის სასარგებლოდ, წარმოადგენენ დეპუტატობის კანდიდატის ინტერესებს საარჩევნო კომისიებთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებთან, ამომრჩევლებთან ურთიერთობაში.

დეპუტატობის კანდიდატი ირჩევს ნდობით აღჭურვილ პირებს და კანდიდატად რეგისტრირების შემდეგ აცნობებს მათ შესახებ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს ნდობით აღჭურვილი პირის გვარი და სახელი, მისამართი და ტელეფონის ნომერი.

საოლქო საარჩევნო კომისია განცხადების წარდგენიდან სამი დღის ვადაში რეგისტრაციაში ატარებს წარმომადგენელსა და ნდობით აღჭურვილ პირებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს.

პარტიას (საარჩევნო ბლოკს), დეპუტატობის კანდიდატს არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეუძლია შეწყვიტოს თავისი წარმომადგენლის, ნდობით აღჭურვილი პირის უფლებამოსილება და შეცვალოს იგი, აცნობებს რა ამის შესახებ შესაბამის საარჩევნო კომისიას. წარმომადგენელმა, ნდობით აღჭურვილმა პირმა არჩევნებამდე ნებისმიერ დროს შეიძლება მოიხსნას უფლებამოსილება.

პარტიისა და საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებს, დეპუტატობის კანდიდატის ნდობით აღჭურვილ პირებს საკუთარი განცხადებისა და სათანადო მოწმობის წარდგენის საფუძველზე წინასაარჩევნო კამპანიის ვადით მიეცემათ უხელფასო შვებულება. ამასთან, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელებს უფლება ეძლევათ შეუნარჩუნონ მათ საშუალო ხელფასი. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს გათავისუფლების ვადა.

მუხლი 46. საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისათვის დეპუტატობის კანდიდატის გათავისუფლება საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისაგან

დეპუტატობის კანდიდატები რეგისტრირების შემდეგ თავისი სურვილისამებრ თავისუფლდებიან საწარმოო თუ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისგან წინასაარჩევნო კამპანიის ვადით ან ამომრჩევლებთან შეხვედრების მოწყობის, კრებებზე, მიტინგებზე, რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლების დროისათვის.

დეპუტატობის კანდიდატი თავისუფლდება საკუთარი განცხადებისა და კანდიდატის მოწმობის წარდგენის საფუძველზე. ამასთან, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის ხელმძღვანელს უფლება ეძლევა შეუნარჩუნოს მას საშუალო ხელფასი.

რეგისტრირების შემდეგ დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება გაიწვიონ ნამდვილ სამხედრო სამსახურში, სამხედრო შეკრებებზე ან შრომით სამსახურში. თუ იგი სამხედრო შეკრებაზე ან შრომით სამსახურშია, სამსახური შეწყდება არჩევნების დღის მომდევნო დღემდე. არჩეული დეპუტატი თავისუფლდება სამხედრო შეკრებისა და სამხედრო და შრომითი სამსახურისაგან თავისი უფლებამოსილების ვადის განმავლობაში.

მუხლი 47. დეპუტატობის კანდიდატთა უფასო მგზავრობის უფლება

დეპუტატობის კანდიდატს რეგისტრაციაში გატარების შემდეგ აქვს ყველა სახეობის სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) უფასო მგზავრობის უფლება საცხოვრებელი ადგილიდან შესაბამისი საარჩევნო ოლქის ტერიტორიამდე და ამ ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 48. დეპუტატობის კანდიდატის ხელშეუხებლობა

დეპუტატობის კანდიდატი არ შეიძლება მისცენ სისხლის სამართლის პასუხისგებაში, დააკავონ, დააპატიმრონ, გაჩხრიკონ ან დაადონ ადმინისტრაციული სახდელი სასამართლო წესით, თუ არ იქნა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დეპუტატობის კანდიდატი დაკავებულ იქნა დანაშაულის ადგილზე.

მუხლი 49. წინასაარჩევნო აგიტაცია

საქართველოს მოქალაქეებს, პარტიებს, მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებს, შრომით და სასწავლებელთა კოლექტივებს, პარტიებისა და საარჩევნო ბლოკების წარმომადგენლებს, ნდობით აღჭურვილ პირებს გარანტირებული აქვთ შესაძლებლობა თავისუფლად და ყოველმხრივ განიხილონ არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკების, დეპუტატობის კანდიდატების საარჩევნო პროგრამები, დეპუტატობის კანდიდატების პოლიტიკური, საქმიანი და პირადი თვისებები, გასწიონ აგიტაცია პარტიის, საარჩევნო ბლოკის, დეპუტატობის კანდიდატების მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ კრებებზე, მიტინგებზე, პრესაში, ტელევიზიით, რადიოთი, რისთვისაც მათ საარჩევნო კომისიების მიერ გამოეყოფათ კრებებისა და მიტინგებისათვის შენობები და ადგილები.

არჩევნებში მონაწილე პარტიები, საარჩევნო ბლოკები და დეპუტატობის კანდიდატები აწყობენ შეხვედრებს თავიანთ ამომრჩევლებთან კრებებზე ან ამომრჩევლთათვის სხვა მოსახერხებელი ფორმით. საარჩევნო კომისია ხელისუფლებისა და მმართველობის შესაბამის ადგილობრივ ორგანოებთან, მოქალაქეთა საზოგადოებრივ გაერთიანებებთან ერთად მოვალეა ხელი შეუწყოს ასეთი შეხვედრების გამართვას, დროულად გამოაცხადოს მათი მოწყობის დრო და ადგილი.

შესაბამის საარჩევნო კომისიაში რეგისტრაციის დღიდან პარტიებს, საარჩევნო ბლოკებს, დეპუტატობის კანდიდატებს უფლება აქვთ დაამზადონ წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტომასალები და ა. შ. (ტექსტში შემდგომ — „პლაკატები"). პლაკატი წარმოადგენს ბეჭდვით ნაწარმს, რომლის დამზადებისთვისაც არ არის საჭირო საგანგებო ნებართვა. სხვა მხრივ, პლაკატებზე ვრცელდება ნორმები, რომლებიც რეგლამენტირებულია წინამდებარე დებულებით.

საოლქო საარჩევნო კომისიები შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებთან ერთად უზრუნველყოფენ საინფორმაციო მასალის გამოცემასა და გავრცელებას დეპუტატობის კანდიდატთა სიებით, მათი ბიოგრაფიული მონაცემებითა და საარჩევნო პროგრამებით არჩევნებამდე არა უგვიანეს 15 დღისა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად, რისთვისაც საოლქო საარჩევნო კომისიას ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დადგენილ ვადებში უნდა წარედგინოს დადგენილი მოცულობის ტექსტი და ფოტოსურათი (ვადის გადაცილების შემთხვევაში დაიბეჭდება მხოლოდ კანდიდატის დასახელებისას წარდგენილი ოფიციალური მონაცემები). საინფორმაციო მასალის ტირაჟი დაახლოებით ტოლი უნდა იყოს საარჩევნო ოლქში მცხოვრებ ოჯახთა რაოდენობისა და ეს მასალა უნდა გავრცელდეს საფოსტო განყოფილებების მეშვეობით.

არჩევნებში მონაწილე პარტიების, საარჩევნო ბლოკების, დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაციის დამთავრების დროისთვის ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ, საარჩევნო კომისიებთან შეთანხმებით, თითოეული საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე უნდა გამოიყოს ხალხმრავალი, ადვილად მისადგომი ადგილები საარჩევნო პლაკატების განლაგებისათვის.

ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მიერ შეიძლება აიკრძალოს საარჩევნო პლაკატების გაკვრა ცალკეულ საზოგადოებრივ შენობებზე არქიტექტურისა და კულტურის ძეგლების დაცვის, მოძრაობის უსაფრთხოების მოსაზრებებით. შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები ვალდებული არიან აილონ ასეთი პლაკატები. აკრძალულია და შესაბამისად დაისჯება საარჩევნო პლაკატების მოხსნა, ჩამოხევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ეს პლაკატები აკრძალულ ადგილებში არაა განლაგებული.

პლაკატები არ უნდა შეიცავდნენ ომის პროპაგანდას, არსებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წყობილების ძალმომრეობით შეცვლის ან დამხობის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის, ეროვნული სიძულვილისა და მტრობის მოწოდებას, არ უნდა აღვივებდნენ რელიგიურ შუღლს, არ უნდა შეიცავდნენ პიროვნების პატივისა და ღირსების შემლახავ მონაცემებს.

არჩევნების დღეს ყოველგვარი აგიტაცია, გარდა ხმის მისაცემი შენობის გარეთ ადრე გამოკრული საგიტაციო მასალისა, აკრძალულია.

მუხლი 50. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში

საარჩევნო კომისიაში რეგისტრირების დღიდან პარტიები, საარჩევნო ბლოკები, ერთსა და იმავე ოლქში წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ მასობრივი ინფორმაციის სახელმწიფო საშუალებებით.

არჩევნებში მონაწილე პარტიას, საარჩევნო ბლოკს უფლება აქვს არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესაში გამოაქვეყნოს თავისი წინასაარჩევნო პროგრამა და პლატფორმა, ხოლო დეპუტატობის კანდიდატს — ადგილობრივ პრესაში გამოაქვეყნოს საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული წერილები, რისთვისაც შესაბამის გაზეთს უნდა მიაწოდოს ამ დოკუმენტების ტექსტები არჩევნებამდე არა უგვიანეს 10 დღისა, ამასთან, ამ დოკუმენტების გამოქვეყნებისას დაცული უნდა იყოს მათი წარდგენის რიგითობა.

არჩევნების მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის იმ საშუალებათა ნუსხას, რომლებიც ვალდებულნი არიან უფასოდ გამოაქვეყნონ წინასაარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული მასალები, და მათი მუშაობის წესს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

არჩევნებამდე ბოლო 7 დღის განმავლობაში არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის ყოველგვარი გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება აკრძალულია.

VIII. ხმის მიცემის წესი და არჩევნების შედეგების დადგენა

მუხლი 51. ხმის მიცემის დრო და ადგილი

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში დეპუტატთა არჩევნების დროს ხმის მიცემა ეწყობა არჩევნების დღეს 7 საათიდან 20 საათამდე. საუბნო საარჩევნო კომისია ხმის მიცემის დროსა და ადგილს ამომრჩევლებს აცნობებს არჩევნებამდე არა უგვიანეს 5 დღისა.

ხმის მიცემის დროს დაუშვებელია ხმის მისაცემი შენობის ჩაკეტვა და ხმის მიცემის შეწყვეტა, გარდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ განსაზღვრული შემთხვევებისა.

საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში, არჩევნების დღეს ნაოსნობაში მყოფ გემებზე და ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისიას შეუძლია ხმის მიცემა დამთავრებულად გამოაცხადოს ნებისმიერ დროს, თუ ხმა მისცა სიაში შეტანილმა ყველა ამომრჩეველმა.

მუხლი 52. ხმის მიცემის მოწყობა

ხმის მიცემა ეწყობა სპეციალურად გამოყოფილ ისეთ შენობებში, რომლებიც არაა მხოლოდ ერთი პარტიის სარგებლობაში. ამ შენობებში უნდა იყოს ფარული კენჭისყრისათვის მოწყობილი საკმაო რაოდენობით კაბინები ან ოთახები, განისაზღვროს საარჩევნო ბიულეტენების გაცემის ადგილები და დაიდგას საარჩევნო ყუთები. საარჩევნო ყუთები ისეთნაირად იდგმება, რომ ხმის მიმცემნი მათთან მისვლისას აუცილებლად გადიოდნენ ფარული კენჭისყრის კაბინებს ან ოთახებს. ხმის მისაცემ კაბინებში (ოთახებში) უნდა იყოს კალმისტრები. ხმის მისაცემ შენობებსა და ოთახებში გამოკრული უნდა იყოს შესაბამის საარჩევნო ოლქში წარდგენილ კანდიდატთა სიები და ინსტრუქცია, თუ როგორ უნდა შეივსოს საარჩევნო ბიულეტენი.

თუ საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი დეპუტატობის კანდიდატი არჩევნებში აღარ მონაწილეობს, სათანადო განცხადება თვალსაჩინო ადგილას უნდა იყოს გამოკრული როგორც საარჩევნო უბანში, ასევე ხმის მისაცემ კაბინებში (ოთახებში).

პასუხისმგებლობა ხმის მიცემის ორგანიზაციისათვის, ამომრჩეველთა ნების გამოვლენების საიდუმლოების უზრუნველყოფისათვის, შენობების მოწყობისა და იქ საჭირო წესრიგის დაცვისათვის ეკისრება საუბნო საარჩევნო კომისიას. ხმის მიცემის დღეს ხმის მისაცემ შენობასა და მის მიდამოებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. წესრიგის დაცვის მიზნით მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება ყველასათვის სავალდებულოა. ხმის მისაცემ შენობაში დაუშვებელია შეიარაღებულ პირთა შესვლა. მილიციის თანამშრომელი, რომელიც თავის მოვალეობას ასრულებს, ხმის მისაცემ შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ კომისიის თავმჯდომარის ნებართვით. ამომრჩეველი ხმის მისაცემ შენობაში შეიძლება იმყოფებოდეს მხოლოდ ხმის მიცემისათვის აუცილებელი დროის განმავლობაში.

არჩევნების დღეს ხმის მიცემის დაწყებამდე საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე აცხადებს მიღებული ბიულეტენების რაოდენობას, კომისიის წევრებისა და დასწრების უფლების მქონე პირთა თანდასწრებით ამოწმებს და პლომბავს ან ლუქავს საარჩევნო ყუთებს, რის შემდეგაც ყუთებში უშვებენ საკონტროლო ფურცელს, რომელსაც ხელს უნდა აწერდნენ კომისიის წევრები და ხმის მისაცემად მისული პირველი ამომრჩეველი, საკონტროლო ფურცელზე უნდა აღინიშნოს ყუთში მისი ჩაშვების დრო.

თითოეული ამომრჩეველი ხმას პირადად აძლევს. სხვა პირთა ნაცვლად ხმის მიცემა დაუშვებელია. საარჩევნო ბიულეტენებს გასცემს საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიის ან ხმის მიცემის უფლების მოწმობის საფუძველზე პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი სხვა საბუთისა და ამომრჩევლის ბარათის წარდგენისას.

საარჩევნო ბიულეტენის მიღებას ამომრჩეველი ადასტურებს ამომრჩეველთა სიაში ხელმოწერით. ხმის მიცემის უფლების მოწმობები ერთვის ამომრჩეველთა დამატებით სიას.

მოქალაქენი, რომლებიც შეცდომით ვერ მოხვდნენ ამომრჩეველთა სიაში, პირადობისა და საცხოვრებელი ადგილის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე შეაქვთ ამომრჩეველთა დამატებით სიაში.

იმ შემთხვევაში, როცა ცალკეულ ამომრჩევლებს ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა მიზეზთა გამო არ შეუძლიათ ხმის მისაცემ შენობაში მისვლა, საუბნო საარჩევნო კომისიამ მათი თხოვნით, რომელიც არჩევნების დღის 12 საათამდე უნდა ეცნობოს საუბნო საარჩევნო კომისიას და გატარებული უნდა იყოს განცხადებების ჟურნალში, კომისიის წევრებს ავალებს ხმის მიცემის მოწყობას ამომრჩეველთა ყოფნის ადგილას ამომრჩეველთა სიის დანართის საფუძველზე, რის შესახებაც ამომრჩეველთა სიაში კეთდება სათანადო აღნიშვნა. ამ შემთხვევაში ხმის მიცემის მოწყობაში მონაწილეობს კომისიის სულ ცოტა ორი წევრი; მასში მონაწილეობის უფლება აქვს საარჩევნო უბანში დასწრების უფლების მქონე ორ პირსაც. ხმის მიცემის ამგვარად ჩატარებისათვის გამოიყენება ერთი გადასატანი საარჩევნო ყუთი. ასეთივე წესით ეწყობა ხმის მიცემა იმ შემთხვევაშიც, როცა ამომრჩეველი თავისუფლების აღკვეთის ადგილას იმყოფება სასამართლოს განაჩენის გარეშე.

მუხლი 53. ხმის მიცემის ჩატარება

საარჩევნო ბიულეტენს ამომრჩეველი ავსებს ფარული კენჭისყრის კაბინაში ან ოთახში. ბიულეტენის შევსებისას აკრძალულია ვინმეს დასწრება. ამომრჩეველს, რომელსაც არ შეუძლია დამოუკიდებლად შეავსოს ბიულეტენი, უფლება აქვს კაბინაში ან ოთახში მოიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, ნდობით აღჭურვილი პირისა, პარტიისა და საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლისა და მეთვალყურისა.

საარჩევნო ბიულეტენის შევსებისას ამომრჩეველმა დეპუტატობის ყოველი კანდიდატის გვარის გასწვრივ ცარიელ უჯრედში უნდა ჩაწეროს ციფრები შემდეგი მიმდევრობით: ციფრი „1" — იმ კანდიდატის გვარის გასწვრივ, რომელსაც აძლევს უპირატესობას სხვების წინაშე; ციფრი „2" — იმ კანდიდატის გვარის გასწვრივ, რომლის კანდიდატურაც მისთვის პირველის შემდეგ ყველაზე უფრო მისაღებია, ციფრი „3" — იმ კანდიდატის გვარის გასწვრივ, რომელსაც პირველი ორის შემდეგ აძლევს უპირატესობას სხვების წინაშე და ა. შ. ამომრჩეველს უფლება აქვს შეჩერდეს ნებისმიერ ციფრზე. შეუვსებელი უჯრედები ამომრჩეველმა უნდა გადახაზოს.

თუ ამომრჩეველს უყურადღებობის გამო გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი, მას შეუძლია მიმართოს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ან მდივანს, ჩააბაროს გაფუჭებული ბიულეტენი და მიიღოს ახალი. გაფუჭებულ ბიულეტენს ამომრჩევლის თანდასწრებით ჩამოეჭრება კუთხე და ცალკე ინახება.

შევსებულ ბიულეტენს ამომრჩეველი უშვებს საარჩევნო ყუთში.

კომისიის წევრებსა და საარჩევნო უბანში დასწრების უფლების მქონე პირთ უფლება აქვთ ამომრჩეველს მოსთხოვონ იმის ჩვენება, რომ მას ხელთ მხოლოდ ერთი ბიულეტენი აქვს. ამომრჩეველი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს მოთხოვნა.

ხმის მისაცემი შენობა იკეტება 20 საათზე. ამ დროისათვის შენობაში მყოფ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა.

მუხლი 54. ხმების დათვლა საარჩევნო უბანში

ხმების დათვლისას დაცული უნდა იყოს შემდეგი თანამიმდევრობა:

1) ხმის მიცემის დამთავრების შემდეგ საარჩევნო კომისია ითვლის და პაკეტად კრავს გამოუყენებელ საარჩევნო ბიულეტენებს. პაკეტს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის სახელი და ნომერი, გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობა. მას ხელს უნდა აწერდნენ კომისიის თავმჯდომარე (ან მოადგილე) და მდივანი და უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი; ითვლის და პაკეტად კრავს გაფუჭებულ საარჩევნო ბიულეტენებს და აფორმებს ზემოთ აღნიშნული წესით;

2) ამომრჩეველთა ძირითადი და დამატებითი სიების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისია ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას და არჩევნებში მონაწილეთა ანუ იმ ამომრჩეველთა რაოდენობას, რომელთაც მიიღეს ბიულეტენები;

3) საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრების თანდასწრებით ამოწმებს საარჩევნო ყუთებზე ბეჭდის მთლიანობას, ხსნის მათ და ამოწმებს ყუთებში საკონტროლო ფურცლის არსებობას. თუ ყუთში საკონტროლო ფურცელი არ აღმოჩნდა, მასში არსებული ბიულეტენები ბათილად უნდა იქნეს ცნობილი;

4) კომისია ითვლის ყუთებში არსებული ნამდვილი ბიულეტენებისა და ბათილად ცნობილი ბიულეტენების რაოდენობას; ცალკე ითვლება დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები. ბათილად ცნობილი და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენები ცალ-ცალკე კონვერტებში იდება და იმდაგვარად იბეჭდება, რომ ბეჭდის დაუზიანებლად შეუძლებელი იყოს კონვერტიდან ბიულეტენის ამოღება ან მასში ჩადება. კონვერტებს უნდა დაეწეროს საარჩევნო უბნის დასახელება და ნომერი, მათში ჩადებული ბიულეტენების რაოდენობა, მათი სახეობა;

5) საარჩევნო ბიულეტენი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი, თუ:

ა) ციფრი „1", რომელიც პირველ არჩევანს მიუთითებს, არც ერთი გვარის გასწვრივ არაა მიწერილი ან

ბ) ციფრი „1", რომელიც პირველ არჩევანს მიუთითებს, მიწერილია ერთზე მეტი გვარის გასწვრივ ან

გ) ერთი კანდიდატის გასწვრივ მიწერილია ციფრი „1", რომელიც პირველ არჩევანს მიუთითებს, და მის გვერდით სხვა ციფრი ან ციფრებია მიწერილი ან

დ) შეუძლებელია დადგინდეს, რომელი კანდიდატის მიმართ გააკეთა ამომრჩეველმა პირველი არჩევანი.

ყველა სხვა შემთხვევაში ბიულეტენი ნამდვილად ითვლება.

6) თუ საარჩევნო ოლქი ერთმანდატიანია, კომისია ახარისხებს და ცალ-ცალკე ითვლის ყოველი კანდიდატისათვის მიცემული ხმების (მათი გვარების გასწვრივ მიწერილი „1"-ების) რაოდენობას. ამის შემდეგ ბიულეტენები ისევე უნდა ჩაეწყოს, როგორც მე-4 პუნქტშია მითითებული. თუ საარჩევნო ოლქი მრავალმანდატიანია, კანდიდატებისათვის მიცემული ხმების რაოდენობის დათვლა არ ხდება და ყველა ნამდვილი ბიულეტენი დაუხარისხებლად უნდა ჩაეწყოს, როგორც მე-4 პუნქტშია მითითებული;

7) საუბნო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე განიხილავს ხმის დათვლის შედეგებს და შეაქვს ოქმში. ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი კანდიდატების რაოდენობას. ოქმის ყოველ ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები, მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი;

8) ოქმის პირველ ცალს და ყველა საარჩევნო ბიულეტენს დაუყოვნებლივ უგზავნიან საოლქო საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, მეორე ცალი ინახება თვით საუბნო საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი უნდა ჩაბარდეს დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილ პირებს.

საარჩევნო ბიულეტენების ნამდვილობაში ეჭვის შეტანის შემთხვევაში საკითხს კენჭისყრით წყვეტს საუბნო საარჩევნო კომისია.

მუხლი 55. არჩევნების შედეგების დადგენა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ. საარჩევნო კვოტა. არჩევნების შედეგების გამოქვეყნება

საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ოქმების საფუძველზე ყოველი საარჩევნო ოლქის მიხედვით ადგენს: გამოუყენებელი ბიულეტენების რაოდენობას, ამომრჩეველთა საერთო რაოდენობას, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობას, ნამდვილად და ბათილად ცნობილი, დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენების რაოდენობას, ხოლო თუ საარჩევნო ოლქი ერთმანდატიანია, — საარჩევნო კვოტასა და არჩევნების შედეგებსაც.

არჩევნების შედეგების დადგენა ხდება ერთადერთი გადასაცემი ხმის მეთოდით საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინსტრუქციის შესაბამისად.

თუ საარჩევნო ოლქი მრავალმანდატიანია, საარჩევნო კვოტასა და არჩევნების შედეგებს ადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს საარჩევნო უბნებში ამ დებულების უხეში დარღვევის შემთხვევებს და თავის მოსაზრებას არჩევნების ბათილად ცნობის შესახებ დაუყოვნებლივ წარუდგენს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას. საჩივარი ამ დებულების დარღვევის შესახებ საოლქო საარჩევნო კომისიას შეიძლება წარედგინოს არა უგვიანეს არჩევნების მომდევნო დღისა და მან იგი მეორე დღესვე უნდა განიხილოს. იმ საჩივრების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, რომელთა საფუძველზეც შესაძლოა არჩევნები ბათილად იქნეს ცნობილი, დაუშვებელია დეპუტატობის კანდიდატთა მიერ მიღებული ხმების დათვლა საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებში.

საარჩევნო კვოტის დასადგენად საარჩევნო ოლქში ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა უნდა გაიყოს ოლქში მანდატების რაოდენობაზე ერთით მეტ რიცხვზე და დაემატოს მას ერთი. მიღებული რიცხვი (წილადი ნაწილი მხედველობაში არ მიიღება) წარმოადგენს საარჩევნო კვოტას ანუ დეპუტატობის კანდიდატის ასარჩევად საკმარის ხმათა რაოდენობას.

საარჩევნო ოლქში არჩეულად ითვლებიან ის დეპუტატობის კანდიდატები, რომლებიც ერთადერთი გადასაცემი ხმის მეთოდით ოლქში საარჩევნო კვოტის ტოლ ან მასზე მეტ ხმათა რაოდენობას მიიღებენ.

თუ საარჩევნო ოლქი მრავალმანდატიანია, საოლქო საარჩევნო კომისია საარჩევნო უბნებიდან მიღებულ ბიულეტენებს თავის ოქმთან ერთად გაუხსნელად აბარებს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არჩევნების მეორე დღეს.

თუ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საარჩევნო უბანში ბათილად იქნა ცნობილი არჩევნები, შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია საერთო არჩევნებიდან ორ კვირის ვადაში ამ უბანში ატარებს ხელახალ არჩევნებს.

თუ საარჩევნო უბანში ხელახალი არჩევნებიც ბათილად იქნა ცნობილი, არჩევნების შედეგები შეჯამდება ამ უბნის გაუთვალისწინებლად.

საოლქო საარჩევნო კომისია თავის სხდომაზე ადგენს არჩევნების შედეგებს და ამტკიცებს ოქმს.

ოქმის ცალთა რაოდენობა ორით უნდა აღემატებოდეს საარჩევნო ბიულეტენში შეტანილი დეპუტატობის კანდიდატთა რაოდენობას. ოქმის ყველა ცალს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, მისი მოადგილე, მდივანი და წევრები და მას უნდა დაესვას კომისიის ბეჭედი.

ოქმის პირველი ცალი არჩევნების ჩატარებიდან არა უგვიანეს მე-7 დღისა ეგზავნება ცენტრალურ საარჩევნო კომისიას მის მიერ დადგენილი წესით, მეორე ცალი ინახება თვით საარჩევნო კომისიაში, თითო ცალი კი გადაეცემა დეპუტატობის კანდიდატთა ნდობით აღჭურვილ პირებს.

ოქმში მითითებული უნდა იყოს საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, ნამდვილად და ბათილად ცნობილ და დაუდგენელი ნიმუშის ბიულეტენთა რაოდენობა, ხოლო ერთმანდატიანი ოლქის შემთხვევაში — აგრეთვე საარჩევნო კვოტა, პირველი არჩევანის შედეგად ყოველი დეპუტატობის კანდიდატის მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობა, არჩეული დეპუტატის ვინაობა.

მუხლი 56. ხელახალი არჩევნები საარჩევნო უბანში

თუ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნები ბათილად ცნო საარჩევნო უბანში, იგი ამ უბანში ნიშნავს ხელახალ ხმის მიცემას, რომელიც საერთო არჩევნებიდან ორი კვირის ვადაში უნდა ჩატარდეს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელობით. ასეთ შემთხვევაში ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უფლება აქვს ხელახალი არჩევნების ჩატარება დაავალოს საუბნო საარჩევნო კომისიას ახალი შემადგენლობით.

მუხლი 57. არჩევნების შედეგების შეჯამება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ

ცენტრალური საარჩევნო კომისია საოლქო საარჩევნო კომისიებისაგან მიღებული ბიულეტენებისა და ოქმების საფუძველზე არჩევნების ჩატარებიდან 30 დღის ვადაში თავის სხდომებზე აჯამებს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნების შედეგებს და შეაქვს ოქმში.

ოქმის პირველი ცალი ინახება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, მეორე ცალი კი გადაეცემა საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის სამანდატო კომისიას.

ოქმში მითითებული უნდა იყოს იმ საარჩევნო ოლქებისა და უბნების დასახელება და ნომრები, რომლებშიც არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი, და ამომრჩეველთა რაოდენობა მათში, არჩევნების ბათილად ცნობის მიზეზები; ყოველი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა, არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა, ასარჩევ დეპუტატთა რაოდენობა, არჩეულ დეპუტატთა რაოდენობა და ანბანურად დალაგებული მათი სია.

შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რესპუბლიკურ გაზეთებში, ტელევიზიითა და რადიოთი აქვეყნებს ცნობას არჩევნების შედეგების შესახებ.

IX. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში არჩეულ დეპუტატთა რეგისტრაცია და პარლამენტის წევრის მოწმობა

მუხლი 58. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტში არჩეულ დეპუტატთა რეგისტრაცია

არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 7 დღის ვადაში ცენტრალური საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს პარლამენტში არჩეულ დეპუტატებს და აძლევს მათ მოწმობას საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრად არჩევის შესახებ.

მუხლი 59. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრის მოწმობა

პარლამენტში არჩეული დეპუტატების უფლებამოსილებათა დამტკიცების შემდეგ მათ პარლამენტის წევრად არჩევის მოწმობას უცვლიან საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრის მოწმობით.

X. დეპუტატებისათვის საარჩევნო ოლქის ნაწილების გაპიროვნება. არჩევნები გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად

მუხლი 60. დეპუტატებისათვის საარჩევნო ოლქის ნაწილების გაპიროვნება

არჩეული დეპუტატები არჩევნების დღიდან სამი თვის ვადაში მათი არჩევის რიგის მიხედვით ირჩევენ საარჩევნო ოლქის შექმნილ ნაწილთაგან ერთ-ერთს (თუ მათი არჩევა დათვლის ერთსა და იმავე საფეხურზე მოხდა, უპირატესობა მას ეძლევა, რომელსაც ამომრჩეველთა მეტი პირველი არჩევანი ჰქონდა, თუ პირველ არჩევანთა რაოდენობა ტოლი იყო, — რომელსაც მეტი მეორე არჩევანი ჰქონდა და ა. შ.), რისთვისაც სათანადო განცხადებით უნდა მიმართონ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიას, რომელმაც არჩევნების დღიდან არა უგვიანეს 100 დღისა უნდა გაუპიროვნოს არჩეულ დეპუტატებს საარჩევნო ოლქის ნაწილები და დაუყოვნებლივ გამოაქვეყნოს მიღებული გადაწყვეტილება.

დეპუტატისათვის საარჩევნო ოლქის არჩეული ნაწილის გაპიროვნებას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი არჩეული დეპუტატის უფლებამოსილების დამტკიცების შემდეგ.

მუხლი 61. არჩევნები გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მიერ ცალკეულ დეპუტატთა უფლებამოსილების ბათილად ცნობისას, აგრეთვე პარლამენტის წევრის გადადგომის ან სხვა მიზეზების გამო მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტისას შესაბამისი საარჩევნო ოლქის იმ ნაწილში, რომელიც გამოკლებულ დეპუტატზე ან პარლამენტის წევრზე იყო გაპიროვნებული, ეწყობა ახალი არჩევნები. არჩევნებს ნიშნავს ცენტრალური საარჩევნო კომისია არჩევნების ჩატარებამდე არა უგვიანეს სამი თვისა და იგი ეწყობა ამ დებულების მოთხოვნათა დაცვით.

გამოკლებულ დეპუტატთა ნაცვლად არჩევნები ტარდება წელიწადში ორჯერ მაის-ივნისსა და ოქტომბერ-ნოემბერში. არჩევნები უნდა ჩატარდეს ამ ორი ვადიდან უახლოესში.

დეპუტატობის კანდიდატთა წარდგენის უფლების მქონე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს საარჩევნო ოლქის გამოთავისუფლებულ ნაწილში შეუძლიათ თითო კანდიდატის წარდგენა.

თუ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის წევრი გამოაკლდა პარლამენტის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე 6 თვეზე ნაკლებ დროში, პარლამენტის გამოკლებული წევრის ნაცვლად არჩევნები არ ჩატარდება.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ

მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების ნორმის გაზრდისა და მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემით სოფლის მეურნეობაში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების, სასურსათო პროდუქტების წარმოების მომატების, ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიის ფარგლებში არსებული მიწა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული სიმდიდრე და მისი კუთვნილებაა.

2. მიწა კერძო საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში გადაეცემათ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს. უცხოელ მოქალაქეებს ან მოქალაქეობის არმქონე პირებს მიწა გადაეცემათ დროებით სარგებლობაში.

3. მიწების ადრინდელ მესაკუთრეებს ან მათ მემკვიდრეებს მიწა საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში მიეცემათ საერთო საფუძველზე. ამასთან შესაძლებლობის შემთხვევაში მათ პირველ რიგში გამოეყოფათ ყოფილი მიწებიდან ნაკვეთი ნორმის ფარგლებში.

4. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები თავისი დანიშნულებისა და შემდგომში მათზე საკუთრების სხვადასხვა ფორმის გავრცელების გათვალისწინებით იყოფა სახელმწიფო მიწების ფონდად და მიწის რეფორმის ფონდად. სახელმწიფო მიწების ფონდს მიეკუთვნება:

— ექსპერიმენტულ მეურნეობებზე, საცდელ და საყრდენ სადგურებზე, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებზე, მეთესლეობის, სანერგე, სანაშენე-საჯიშე მეურნეობებზე, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მსხვილ კომპლექსებსა და ფაბრიკებზე უვადო სარგებლობით მიმაგრებული და სასათბურე კომბინატებით დაკავებული მიწები;

— რეკრეაციული დანიშნულების მიწები;

— სტრატეგიული კულტურებით დაკავებული მსხვილი სამელიორაციო ფართობები, აგრეთვე ნაკვეთები, რომლებზეც ფუნქციონირებენ მაღალსპეციალიზებული მეურნეობები;

— სტიქიური და სხვა ობიექტური მიზეზებით განპირობებული მოსახლეობის განსახლებისათვის სარეზერვო მიწები;

— პერსპექტივაში საბაღედ, საგარაკოდ გამოსაყოფი მიწები;

— მსხვილი ქალაქების, სამრეწველო ცენტრების საგარეუბნო ზონებში განლაგებული მიწები (აგლომერაციის მიწები);

— მიწები, რომლებზეც ფუნქციონირებენ სახელმწიფო სახსრებით აშენებული მელიორაციული სისტემები და ნაგებობები;

— სახელმწიფო საზღვრის ზოლში განლაგებული, აგრეთვე სხვა, განსაკუთრებული დანიშნულების მიწები;

მიწის რეფორმის ფონდზე შესაძლებელია მოეწყოს ყველა ფორმის მეურნეობები მათთვის მიწების საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში გადაცემით. აღნიშნული მიწები გადაეცემა სოფლის მფლობელობაში.

5. საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებზე კანონით დადგენილი ნორმის ფარგლებში რიცხული საკარმიდამო, საბაღე და საგარაკო მიწები უსასყიდლოდ გადადის მათს კერძო საკუთრებაში.

ადგილობრივი ბუნებრივ-სამეურნეო პირობებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით მიზანშეწონილად ჩაითვალოს საკარმიდამო ფართობის მომატება ბარში და ზეგანზე 0,75 ჰექტარამდე, ხოლო მთაში — 3 ჰექტარამდე.

ახალ ნორმამდე შევსებული ფართობი კომლს გადაეცემა უსასყიდლოდ კერძო საკუთრებაში მრავალწლიანი ნარგავების ღირებულების გადახდით.

6. ნასოფლარების აღდგენისას მიწების კერძო საკუთრებაში, მფლობელობასა და სარგებლობაში გამოყოფის უპირატესობით სარგებლობენ ამ სოფლის მკვიდრნი ან მათი მემკვიდრეები, აგრეთვე ის მოქალაქეები, რომლებიც გამოთქვამენ დასახლებისა და მიწაზე მუშაობის სურვილს.

7. სოფლის ყოფილ მკვიდრთ მიწები გამოეყოფათ კერძო საკუთრებაში, თუ მათ მემკვიდრეობით მიღებული აქვთ საცხოვრებელი სახლი ან სახლის ნაწილი. იგივე წესი ვრცელდება მოქალაქეებზე, რომლებსაც კანონით დადგენილი სხვა წესით მიიღეს საცხოვრებელი სახლი.

8. სოფლის მეურნეობის პროდუქტების საწარმოებლად მიწები გადაეცემათ:

— სოფლად მუდმივად მცხოვრებ და სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ მოქალაქეებს;

— სოფლად მუდმივად მცხოვრებ მეურნეობის სპეციალისტებს;

— სოფლად მუდმივად მცხოვრებ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებიც დასაქმებული არ არიან სოფლის მეურნეობაში.

ქალაქად მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებს სოფლის მეურნეობის პროდუქტების საწარმოებლად და საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად მიწები გადაეცემათ დადგენილი ნორმის მიხედვით მას შემდეგ, როდესაც მოხდება სოფლად მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეებზე მიწების გაცემა.

9. მიწაზე, საკუთრების ფორმის მიუხედავად, შეიძლება მოეწყოს ყველა ტიპის მეურნეობა: გლეხური (საკომლო) მეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივები, სახელმწიფო მეურნეობები, აგროფირმები, მცირე საწარმოები, აქციონერული საზოგადოებები, ასოციაციები და სხვა.

10. მიწის რესურსების სრულყოფილად გამოყენებისა და მიწის რეფორმის განხორციელებისათვის შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტი.

11. მიწების გაცემას ახდენს სოფლის (დაბის) მმართველობის ადგილობრივი ორგანო, შემდგომ ამტკიცებს რაიონის (ქალაქის) მმართველობის ორგანო საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის სათანადო სახელმწიფო აქტით, რაც დასტურდება სანოტარო წესით და რეგისტრირდება მიწების აღრიცხვის სახელმწიფო წიგნში.

12. მიწაზე მესაკუთრის შეცვლის, აგრეთვე მიწასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს აწესრიგებს მიწის კანონთა კოდექსი და სპეციალური კანონმდებლობა.

13. საქართველოს რესპუბლიკაში მიწით სარგებლობა ფასიანია.

სოფლის მეურნეობაში დღემდე არსებული ყველა გადასახადის ნაცვლად წესდება მიწაზე ყოველწლიური გადასახადი, რომელსაც იხდის ყველა ტიპის მეურნეობა.

14. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტმა, საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, საქართველოს აგრარულმა კავშირმა ერთი თვის ვადაში მოამზადონ საკანონმდებლო აქტები:

— საქართველოს რესპუბლიკაში მიწის რეფორმის შესახებ;

— საქართველოს რესპუბლიკაში გლეხური (საკომლო) მეურნეობის შესახებ;

— საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის შესახებ;

— სახელმწიფოში სასოფლო-სამეურნეო საწარმოს შესახებ;

— სოფლის მეურნეობაში მიწისა და წარმოების სხვა საშუალებების იჯარით გაცემის შესახებ;

— ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით მიწების სახელმწიფო და აგრარული რეფორმის ფონდებში განაწილების შესახებ;

— ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით საკარმიდამო, საბაღე, საგარაკო მიწის ფართობის ზღვრული ნორმების დადგენის შესახებ;

— ერთ კომლზე გასაცემი მიწის ზღვრული ნორმების შესახებ;

— საადგილმამულო ბანკის შექმნისა და ფუნქციონირების შესახებ;

— მიწის ფასისა და მიწაზე გადასახადის შესახებ;

— სასოფლო-სამეურნეო საწარმოს განსახელმწიფოებრიობისა და პრივატიზაციის შესახებ.

15. ამ დადგენილების განხორციელებასთან დაკავშირებით წამოჭრილ დავას საბოლოოდ გადაწყვეტს სასამართლო.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი გ. ბერიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

„საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 18 იანვრის № 48 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს ბაზაზე საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტი.

2. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინოს წინადადება მიწის რესურსებისა და დაფინანსების შესახებ.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიამ ქალაქ თბილისის მერიასთან ერთად გადაწყვიტოს მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტის განთავსების საკითხი.

4. საქართველოს რესპუბლიკის მიწის რესურსებისა და მიწის რეფორმის სახელმწიფო კომიტეტმა მინისტრთა კაბინეტს უმოკლეს ვადაში წარმოუდგინოს დებულება ამ კომიტეტის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი გ. ბერიძე.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციას

თქვენი გაზეთის ამა წლის 16 იანვრის ნომერში მოულოდნელად გამოქვეყნდა ინტერვიუ ჩემთან სათაურით „სუვერენიტეტის ტვირთი". ეს მასალა წარმოადგენს ჩემ მიერ გაზეთისათვის დიდი ხნის წინ მოწოდებული და მაშინ გამოუქვეყნებელი წერილის საფუძველზე უნებლიედ შედგენილ პუბლიკაციას. უნდა განვაცხადო აგრეთვე, რომ არავითარი სურვილი არ მქონდა, რომ ამჟამად მეთანამშრომლა თქვენს გაზეთთან.

გიორგი მალაშხია

სარედაქციო კოლეგია.

მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; მდივნების რედაქცია 99-73-24. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომბინატში, ხოშტარიას ქ. № 29. ინდექსი 64434.